გილოცავთ შობას — დღესასწაულთა დღესასწაულს!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 7 იანვარი. 2017 წ. №4 (8141), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

7 იანვარს

მთელი მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო, საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ხორციელად შობას



...ღვთის აღთქმის დარღვევის გზით, როდესაც სამოთხიდან განიდევნენ ადამიანების მოდგმის პირველი მშობლები, უფალმა თავისი გამოუთქმელი გულმოწყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო.

ამ აღთქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „ოესლი დედაკაცისასა დათრგუნავს თავსა გველისასა“.

პატრიარქმა იაკობმა იწინასწარმეტყველა, რომ იუდას ტომი სკიპტრას დაკარგავდა, წინასწარმეტყველმა დანიელმა გვაუწყა, რომ ქრისტეს მეუფება დადგება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება სამეფო მყარი, როგორც რკინა, რომელიც ყველაფერს დააქცევს და დაარღვევს და რომ ქვეყნიერების მხსნელი იერუსალიმის აღდგენის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან სამოცდაათი შვიდეულის შემდეგ მოევლინება.

...ნიშანდობლივია ისიც, რომ ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებს და მარიამს ბეთლემისაკენ. ბეთლემში იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად სამართლიანად იწოდებოდა. ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებლად ადგილი ვერ იპოვეს... ბეთლემიდან ჩრდილოეთით კლდეებს შორის გამოქვაბულში წმინდა მგზავრებმა შეაფარეს თავი. აღესრულა ისაიას წინასწარმეტყველება: „აი, ვინ დაივანებს მაღალში, კლდეთა სიმაგრეები იქნება მისი საფარი“.

სწორედაც, რომ ამ მყარ კლდეებში შუაღამისას ქალწულმა მარიამმა წინასაუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „მიაწვინა“ იგი ბაგასა“.

...როდესაც ყოვლადწმინდამ თავისი ძე და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლივ უფლის სამსახურს შეუდგა, სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა... ბაგაში მიაწვინა და პირველმა მან სცა თაყვანი. ასევე, მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმინდა დედასა და მის ძეს — ჩვენს ღმერთს.

სრულიად საქართველოს ვულოცავთ იმ წმინდა ღამეს მომხდარ სასწაულს — ქრისტეს შობას!

„ბლანქეტების ქვეყანა“

4

თქვენს სხეულს რაც გინდათ, ის უქენით, ჩვენ თავი დაგვანებეთ!

ნუგზარ ბ. რუსაძე: უნდა ვიცოდე თუ არა მე, რატომ იქცევა ლარი ასე?

კიდევ ერთი წერილი ამერიკიდან

3

საქართველოს ბედი მუსლიმანურ სამეზობლოში

თურქულ-ქართული ურთიერთობები და ურთულესი გამოწვევები

6

სვლა გადადგომით,

ანუ მელას – დავით უსუფაშვილს, რაც ელანდება, ის ესიზმრება?

2

ომარ მარგველაშვილი

ქართული ეკლესიის ღირსეული საჭეთმპყრობელი

5

საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სომეხ ხალხს შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს ულოცავენ

„ძვირფასო თანამოძალაძენო, გულითადად გილოცავთ შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს.

სომეხთა და ქართველთა ძმობა იმავე ხნისაა, რამდენისაც ჩვენი ქვეყნების ისტორია. ფასდაუდებელია თქვენი გარჯა საქართველოს აღმშენებლობისა და განვითარებისათვის. აქ დაბადებული უამრავი სომეხი ხელოვანით, მეცნიერითა თუ საზოგადო მოღვაწით ჩვენ ისევე ვამაყობთ, როგორც თქვენი ისტორიული სამშობლო სომხეთი.

ვუერთდები თქვენ სიხარულს და გისურვებთ, რომ 2017 წელი ჯანმრთელობის, ბედნიერების, მშვიდობისა და კეთილდღეობის წელი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის“, — ნათქვამია პრეზიდენტის მილოცვაში.

* * *

„ჩვენს სომეხ თანამოქალაქეებს და მოძმე სომეხ ხალხს ვულოცავ ქრისტეს შობისა და ნათლისღების დღესასწაულებს.

საამაყოა, რომ ჩვენ შევინარჩუნეთ ძმობა და მეგობრობა, რომელიც საუკუნეებს ითვლის. მჯერა, რომ ქართველები და სომხები სიყვარულითა და პატივისცემით გავაგრძელებთ თანაცხოვრებას და კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჩვენს ქვეყანას.

ყველას ვუსურვებ მშვიდობას, კეთილდღეობასა და წარმატებებს“, — აცხადებს გიორგი კვირიკაშვილი.

საქართველოს ისრაელის პრეზიდენტი ეწვევა

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მოწვევით, 9 იანვარს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით, ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი რუვენ რივლინი საქართველოს ეწვევა.

ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი თბილისს პირველ ლედისთან ერთად ეწვევა და ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს პრეზიდენტთან, პრემიერთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართავს.

რუვენ რივლინის დახვედრის ოფიციალური ცერემონია პრეზიდენტის სასახლეში გაიმართება, რის შემდეგაც გიორგი მარგველაშვილი ისრაელის პრეზიდენტს პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში შეხვდება.

10 იანვარს ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტი გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს.

პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ისრაელის პრეზიდენტის მრჩეველს შეხვდა და ისრაელის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის დეტალები განიხილეს.

ვასილ მაღლაფერიძე საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორია!

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე გახდა. კენჭისყრის შედეგების მიხედვით მას ბორდის წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი და 6 ხმა მიიღო. გამარჯვებულის გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო და მასში მონაწილეობას მაღლაფერიძესთან ერთად თინათინ ბერძენიშვილი იღებდა, რომელსაც ბორდის 2-მა წევრმა დაუჭირა მხარი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე 6 წლის ვადით ირჩევენ.

პირველი ტურის შედეგების მიხედვით კი, მაღლაფერიძეს 4, ხოლო ბერძენიშვილს 2 ხმა ჰქონდათ, ხოლო თითო-თითო ხმა ნინო ზაუტაშვილს და ნათია კუპრაშვილს. ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო ზაალ ანჯაფარიძემ.

პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატებზე თებერვალში იმსჯელებს

ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი ინფორმაციით, საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე, პარლამენტს უფლება ექნება გადაწყვეტილებები მიიღოს, თუმცა, როგორი იქნება უმრავლესობის გადაწყვეტილება საკითხზე, ბესელია ვერ აკონკრეტებს. ცნობისათვის, პარლამენტმა უნდა აირჩიოს როგორც უზენაესი სასამართლოს წევრები, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი წევრი.

◎ დღის მთავარი ინტრიგა

სვლა გადადგომით,

ანუ მელას — დავით უსუფაშვილს, რაც ელანდება, ის ესიზმრება?

„შესაძლოა, პრეზიდენტმა, რომლის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ერთი წელი რჩება, ქართველ ხალხს მიმართოს და თქვას: „ოცნება“ გართმევთ უფლებას, პირდაპირი წესით აირჩიოთ პრეზიდენტი. მე უძლური ვარ, შევეწინააღმდეგო ამ ცვლილებებს, თუმცა ვადამდე ადრე გადავდგები და სანამ ცვლილებები ძალაში შევა, მოგცემთ შანსს, კიდევ ერთხელ აირჩიოთ პრეზიდენტი, რათა შემდგომი 5 წელი — 2020 წლამდე თქვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი გყავდეთ“, — განაცხადა ამ დღეებში უსუფაშვილმა.

მართლაც, თუ გიორგი მარგველაშვილი გადადგება, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, 40 დღის განმავლობაში ახალი პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს, ანუ ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ უბრალოდ ვერ მოასწრებს საკონსტიტუციო უმრავლესობის გამოყენებას, რათა მთავარ კანონში ცვლილებები შეიტანოს და ახალი პრეზიდენტის პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით არჩევა არ დაუშვას. გარდა ამისა, 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება და შესაძლოა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ახალმა შემადგენლობამ გადახედოს ინიციატივას პრეზიდენტის პარლამენტის მიერ დანიშვნის თაობაზე.

როგორც უსუფაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში განაცხადა, ყველა შემთხვევაში, ეს სვლა გიორგი მარგველაშვილს ან ნებისმიერ სხვა კანდიდატს, რომელიც ვადამდელ არჩევნებზე გამარჯვებას შეძლებს, სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად აქცევს.

თავად პრეზიდენტმა პარლამენტის ყოფილი სპიკერის მიერ შემოთავაზებული სცენარის კომენტირება არ ისურვა.

„პირველ რიგში, რამდენად არის ეს განხილვის საგანი? მეორეც, კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ მაქვს... გსურთ, პრეზიდენტმა კომენტარი ვინმეს კომენტარზე გააკეთოს?.. კითხვა არასწორად დაისმის. არ მსურს იმ თემის კომენტირება, რომელიც კომენტარისთვის არ არის“.

მთავარ ოპოზიციურ პარტიაში გიორგი მარგველაშვილის შესაძლო ქმედებების კომენტირება ასევე არ ისურვეს. აი, მმართველ პარტიაში კი უსუფაშვილის მოსაზრებას „დაუფარავად დესტრუქციული“ უწოდეს. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარება მხოლოდ მათ აწყობთ, ვისაც ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაცია სურს:

„ეს უსაფუძვლო, უდროო, არაკონსტრუქციული და ქვეყნისათვის დაუფარავად მავნე სცენარია, რომელიც ახალ დაპირისპირებაზეა მიმართული და არამც და არამც არ წარმოადგენს საექსპერტო ანალიზს. ეს აწყობს მხოლოდ იმ პარტიებსა და პოლიტიკურ ძალებს, რომელთაც არჩევნებზე შანსები არა აქვთ“.

მოულოდნელი აღმოჩნდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ინიციატივა მისი ყოფილი კოლეგისა და თანაპარტიელის ვახტანგ ხმალაძისთვისაც. ამჟამად იგი იმ საკონსტიტუციო კომისიის წევრია, რომელმაც პრეზიდენტის ინსტიტუტის ბედი უნდა გადაწყვიტოს. თავად ხმალაძე პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევის წესის გაუქმებას მხარს უჭერს, თუმცა ამ ცვლილების ძალაში შესვლის ვადებზე მიუთითებს:

„გამომდინარე იქიდან, რომ საპარლამენტო რესპუბლიკისთვის უფრო დამახასიათებელია და ჩვენთვისაც, ჩემი აზრით, უფრო მისაღები პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები, დაე, შეიტანონ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები. მაგრამ ეს ცვლილებები ძალაში 2018 წლის, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა“.

მთლიანობაში საექსპერტო საზოგადოებაში აღნიშნავენ, რომ უსუფაშვილის მიერ გაჟღერებული ვარიანტი შესაძლებელია, თუმცა ამაზე საუბარი ნაადრევია:

„გამომდინარე იქიდან, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ბევრად მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში არჩევნების დანიშვნას და ჩატარებას, მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარება თეორიულად შესაძლებელია. თუმცა მეჩვენება, რომ არსებულ პოლიტიკურ რეალობაში იგი ნაკლებ სავარაუდოა. მეტიც, ამ ეტაპზე ამაზე საუბარი მეტისმეტად ნაადრევია. იმისათვის, რომ ყველა შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილება მომზადდეს და პარლამენტთან კონსულტაციები გაიმართოს, კომისიას მინიმუმ, 10 თვე დასჭირდება. ამდენად, ამ ეტაპზე მსგავსი განცხადებები არასწორად მიმაჩნია“, — ამბობს კონსტიტუციონალისტი კოტე ჩოკორაია.

თუმცა დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ ყოფილი სპიკერის ამ სვლის რეალური მიზეზი შესაძლოა,თავად უსუფაშვილის სურვილი იყოს, პრეზიდენტობისთვის იბრძოლოს.

„ეხო კავკაზა“

უნდა ვიცოდე თუ არა მე, რატომ იქცევა ლარი ასე?

კიდევ ერთი წერილი ამერიკიდან

ლარი ისევ მოძრაობაშია. არ ჩერდება. მივეჩვიეთ, მაგრამ მაინც ვჩოთირობთ და სულ ამაზე გვინდა ლაპარაკი, ვითომ ლაპარაკი გააჩერებს. 1991 წლის მერე ვსარგებლობთ ამ ეროვნული ვალუტით, თუ არ ვცდები. კაი გვარიანი ხნის მოყრილა. სულ ვქირდავთ და ვაგინებთ ამ საწყალს, მაგრამ აქამდე ხომ მოგვატანინა სული, ასე იყო თუ ისე! ძველქართულად თურმე განძს ნიშნავს ლარი. ჩვენი კეთილდღეობის სიმბოლო სიმდიდრესთან ყოფილა ასოცირებული, სიტყვიერად მაინც. შენ იხუმრე და, რო გავიგე, სულელივით გამიხარდა. თავის დროზე მანეთი შეცვალა, გაცვლის საბჭოთა საშუალება – უცნაური და იზოლირებული – რომელსაც ვერავინ ვერ ცნობდა დედამიწის ზურგზე და არცერთ ვალუტაში არ იცვლებოდა. ემსახურებოდა თავის ხალხს და იყო. მეორე მხრივ, ეს საბჭოთა სოციალისტური მანეთი, იგივე რუბლი, ერთი გაუგებარი, მაგრამ საოცრად სტაბილური ვალუტა გახლდათ. არ ემორჩილებოდა არავითარ გლობალურ, რეგიონალურ თუ ადგილობრივ ეკონომიკურ ცვლილებებს და რყევებს. არავის არ აწვალებდა ეჭვი და დრტვინვა მანეთის მიმართ და ყველა ცდილობდა, ეშოვა რაც შეიძლება მეტი, თან ყოველგვარი უფლების, სურვილისა და აუცილებლობის გარეშე, გაეცვალა რომელიმე სხვა ვალუტაში, გარდა სპორადიკული დანაშაულებრივი შემთხვევებისა და კანონით დაშვებული სახელმწიფო საბანკო-სავალუტო ოპერაციებისა. არავის არ აწუხებდა მანეთის საქციელი და ფასი. თავშიც კი არავის მოუვიდოდა მის აწევ-დაწევაზე ფიქრი და დარდი. მანეთი მშრომელის (ბეგარის გადამხდელი ჰქვია ახლა) ჯიბეს ავსებდა მისი შრომის უნარისა და შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით. მანეთის უკანონო, განუკითხავი შოვნაც სუფევდა, ცხადია, მაგრამ დაუწერელი, ოღონდ მკაცრად რეგლამენტირებული და იდუმალი წესების მიხედვით. ეს მაშინდელი უსამართლობის ერთ-ერთი მკაფიო პარადიგმაა, რასაც შერჩევით ებრძოდა სახელმწიფო. აი, ლარის ამბავი სულ სხვა რამეა. ის ჩვენს სინამდვილეში სტიქიურად შემოჭრილი კაპიტალიზმის – თუმცა აღვირახსნილად ველურის – ერთ-ერთი ატრიბუტია, იმ კაპიტალიზმისა, რომელიც საბჭოთა წყობილების მწუხრის და საბაზრო ეკონომიკის გარიჟრაჟის გზაგასაყარზე აღმოცენდა. მოვიდა მაშინ ლარი და იმუშავა შეძლებისდაგვარად. თუმცა, დროდადრო ანადგურებდა ხოლმე მასზე დამოკიდებული ადამიანის იმედს გადარჩენისას. არასოდეს არ გაუჩერებია მოძრაობა ვერტიკალში ორივე მიმართულებით, ხანდახან საშიში ამპლიტუდითაც – აგერ ახლა რომ იყო, ისეთით – მაგრამ მე რატომ უნდა ვიცოდე ეს ყველაფერი? რატომ უნდა ვერკვეოდე მე პროფესიონალის დონეზე იმაში, თუ რა სჭირს ლარს? აღარ შემიძლია, დავიღალე ყველაფრის ცოდნით და საქმის კურსში ყოფნით. არ შეიძლება, უბრალოდ, ვშოულობდე ლარს ისე, როგორც ვიცი და ძალმიძს, და არ მისკდებოდეს თავი ლარზე თეორიული მოსაზრებების სმენით ოცდაოთხი საათის განმავლობაში? აღარ მინდა შიშით და ძრწოლით, ყოველ წამს, ვადევნებდე თვალს ლარის საქციელს მარკეტში. ბევრი კი არაფერი მინდა სამაგიეროდ! საფულე მინდა მქონდეს სქლად დატენილი ყიდვის უნარის მქონე ლარით და ვუსმენდე ხოლმე სალაროს მანქანების ზარის საყვარელ ხმას ჩემი ნაყიდი საქონლის გატარებისას. სხვა ხმის გაგონება აღარ მინდა. ლარზე ლაპარაკით გული მერევა. ლარზე ხმამაღალი და ბრძნულს რომ ჰგავს, ისეთი ლაპარაკი მთრგუნავს და, ბოლოს, მომკლავს, ვიცი. ლარის ქონა მინდა, ლაპარაკი არა! არადა, რაც მესმის ამ უცნაურად მორბენალ ლარზე, სურვილს მიქარწყლებს, რომ ვიმუშაო მის შოვნაზე. ლაპარაკი ხელს მიშლის, არ მეხმარება, მაბნევს, ნაყოფიერად ღვწას არ მაცლის, გულს მიყრის იმ საქმეზე, რასაც ვაკეთებ და რითაც თავს ვირჩენ.

ვიცი, რომ ჩემი და ლარის ეს უბედურება ეკონომიკის მრუდი განვითარების თანმხლებია, რაც არაერთ ქვეყანას ახასიათებს, განსაკუთრებით, განვითარების გზაზე ახალ შემდგარს და დემოკრატიად ახალმონათლულს, მაგრამ ჩემი ჩაბმა იმ დიდ ფინანსურ-ეკონომიკურ საუბრებში და ტვინის ჭყლეტვებში ჩემთვის არაფერს არ ცვლის. პირიქით, უკან მხევს. მე ჩემი საქმის კეთება მინდა, რომელიც მხრებზე მაწევს. ამ საწყალ გამხდარ მხრებს კი მხოლოდ შესაბამისი სიმძიმის ტვირთის ტარება შეუძლია, რომელიც კიდევ უფრო მისუსტდება ლარზე ამდენი მსჯელობის ყურის გდებისა გამო. ვეღარ ვხარშავ, ტვინი ვეღარ ატარებს ამდენ ფინანსურ-ეკონომიკურ ინფორმაციას. ვერც მხრები უძლებს ამდენ სიმძიმეს. ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, ტვირთის დაგდებაც კი მომიწიოს სიმძიმის გამო, ღმერთმა დამიფაროს! მე არც ბრმა მინდა ვიყო და არც ყრუ, მაგრამ, შეიძლება, განგებ დავიყრუო თავი და დავიბრმაო თვალი, ამ ლაპარაკს რომ აღარ ვუსმინო – წინააღმდეგობრივს, დაუზუსტებელს, დაახლოებითს – და ამ ციფრებს რომ აღარ ვუყურო – გაუგებარს, საეჭვოს, ამოუცნობს.

არ შეიძლება, ვინმემ გვითხრას რამე სერიოზული პროფესიული, სოლიდური და მოათავოს ამით ეს ამდენი ლაპარაკი? გვთხრას რამე ისეთი, რაც სანდოც იქნება და გასაგებიც, მაქსიმალურად მიახლოებული ჭეშმარიტებას ისე, რომ ჩვენ, ჩვეულებრივმა ადამიანებმა, ხალხი რომ გვქვია, ვიცოდეთ, სად ვართ და რა უნდა ვქნათ, თუ ჩვენი სანუკვარი და საფიცარი ლარი განაგრძობს დაწოლას, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაფერმკრთალდება წოლისა და უუანგბადობის გამო, თუ ეს ამდენი უადგილო და უგზო-უკვლო ლაპარაკი, თანაც ასეთი დაჟინებით, გაგრძელდება მის ბედ-იღბალზე და ფინანსურ მომავალზე, რომელსაც სიკაშკაშეს ვერანაირად ვერ დავაბრალებ ღრმა და გახანგრძლივებულ ოცნებაშიც კი.

ნუგზარ ბ. რუხაძე.

P. S. საყვარელო რედაქციავ, რა სასწაული გემოვნება გაქვთ, რამ მოგაფიქრებინათ თქვენდამი წერილის გადაქცევა სტატიის შესავლად? ულამაზესი ფორმატითაა გამოქვეყნებული. დიდი მადლობა. ჩემი საძმოს ბიჭებმა წაიკითხეს თურმე და მომწერეს. ინტერნეტში ვნახე. ჯერ აქ ვარ კიდევ, შტატებში. ძველი დრო გამახსენდა, ლონდონიდან რომ გწერდით ხოლმე. ხელმოწერაში მამის სახელის ინიციალს ვწერ იმიტომ, რომ მეტით ვერაფრით ვეცი პატივი მის ხსოვნას (ბორისი ერქვა). გიგზავნით კიდევ ერთს და ვიმედოვნებ, რომ მეგობრობის ხათრით არასოდეს არ გამოაქვეყნებთ იმას, რაც ძალიან არ მოგეწონებათ. მართლა დავიღალე ლარზე ფიქრით და დარდით და მართლა მჯერა, რომ ლარს უფრო შოვნა მოუხდებოდა, ვიდრე წუწუნი და ლაპარაკი მასზე. ეს ჩემი სტატიები სუფრასთან ნალაპარაკევს უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზულ ჟურნალისტურ ჭინთვებს, მაგრამ ასე მგონია, ხალხს ასე უფრო გაუადვილდება თემასთან დაახლოება. ყველაფერში მეზიზღება ბრექი და წერაშიც, რა თქმა უნდა. ვგიჟდები, როგორ არ იღლება ხოლმე ხალხი, ვინც სულ გაბღენძილია. გაკოცებთ ძმურად და გმადლობთ ძმობისთვის და გენიალური კოლეგიალობისთვის. მე რუბრიკის სათაურზე გეხუმრეთ და მართლა არ გამოგიყენებიათ? იდღეგრძელეთ! ნუგზარი.

ეკა ბესელია ელისო კილაძის წინააღმდეგ...

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ეკა ბესელიას სარჩელის განხილვა ჟურნალისტ ელისო კილაძის წინააღმდეგ გუშინ დაიწყო. ბესელიას განცხადებით, ის ამ საქმეს ბოლომდე მიჰყვება, რათა დადგინდეს, სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და გამიზნულ ცილისწამებას შორის.

„ცოტა უცნაურია, რომ სარჩელის განხილვის დაწყებას ერთი წელი დასჭირდა და ვადებსაც გადასცდა. საკითხი ჩემთვის პრინციპულია. რადგან ეს პროცესი დავიწყე, მიმაჩნია, რომ პრეცედენტი უნდა შეიქმნას და დადგინდეს სად არის გამოხატვის თავისუფლების ზღვარი და სად ხდება პირდაპირი და გამიზნული ცილისწამება“, – აღნიშნა ბესელიამ და დასძინა, რომ მისთვის ასევე მნიშვნელოვანია საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილთან დაკავშირებული საქმეც.

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ

ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებული კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

რევაზ შიუკაშვილს, ირაკლი ყიფშიძეს და გიგლა შიოშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ცხრათვიანი ვადა 7 იანვარს ეწურებათ და ვინაიდან სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დასრულებულა, სასამართლო ვალდებული იქნება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ბრალდებულები გაათავისუფლოს.

არ გათავისუფლდება მხოლოდ კუდ-ის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ვასილ ლელუაშვილი, რომელიც სხვა საქმეზეა მსჯავრდებული.

კუდ-ის 6 თანამშრომელს ბრალად ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დაზარალებულთა პირადი შეურაცხყოფით. სამართალდამცველებმა ისინი 2016 წლის აპრილში დააკავეს.

გიგი უგულავა საპატიმროს ორშაბათს დატოვებს

საapელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას სასჯელი გაუნახევრდა.

ეს გადაწყვეტილება გუშინ საapელაციო სასამართლომ მიიღო. უგულავას „თბილსერვისის“ საქმეზე 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ყოფილი მერი სასამართლო პროცესს არ დასწრებია. მან თავისი დასკვნითი სიტყვა ორი დღის წინათ გამართულ პროცესზე წარმოთქვა.

„თბილსერვის ჯგუფის“ ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავა გაამტყუნა და 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რიყის ტერიტორიის გასხვისების ეპიზოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თბილისის ყოფილი მერი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი გამართლდნენ.

ბრალდება მათ უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას ედავებოდა. მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი პროკურატურამ გაასაჩივრა, თბილისის ყოფილი მერის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი მისმა ადვოკატებმა გაასაჩივრეს.

საapელაციო სასამართლომ დავით კეზერაშვილი უდანაშაულოდ ცნო

საapელაციო სასამართლომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საქმეზეც მიიღო გადაწყვეტილება. სასამართლომ კეზერაშვილი გაამართლა და მისთვის შეფარდებული პატიმრობა გააუქმა.

რიყის ტერიტორიის გასხვისების ეპიზოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თავდაცვის ყოფილი მინისტრი გამართლდა, რაც პროკურატურამ გაასაჩივრა.

საapელაციო სასამართლომ კი ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ბრალდება კეზერაშვილსა და ყოფილ მერს გიგი უგულავას უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას ედავებოდა.

პოლიტიკური პარტია (!) „გირჩის“ წინასაახალწლო პერფორმანსმა პირობითი სახელწოდებით „პლანის დათესვა“, ჯერ-ჯერობით ის შედეგი გამოიღო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. არავინ დაუკითხავთ, მით უმეტეს არავინ დაუკავებიათ, მაგრამ სამართლებრივი რეაქცია ამ „სპექტაკლს“ აუცილებლად მოჰყვება. შესაძლოა, არც ისე მკაცრი, მაგრამ რეაგირების გარეშე ვერ დარჩება.

სხვა საქმეა ამ რეაგირების შინაარსი და სიმწვავე. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად გააუქმა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა „მსუბუქ“ ნარკოტიკებზე. რასაკვირველია, იგულისხმება მხოლოდ მოხმარება და მცირე ოდენობით ფლობა. რაც შეეხება გასაღება-გავრცელებას, მით უმეტეს დიდი ოდენობით, კვლავ დასჯადი ქმედებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს (რაც ბევრს არ ესმის), რომ, მაგალითად, „გავრცელებაში“ არა მხოლოდ „გაყიდვა“ იგულისხმება. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ჰაშიშს, მარიხუანას, „ბანგს“ (ასე ჰქვია ჰიმალაებში, სადაც გაჩნდა ეს ფენომენი), იგივე „პლანს“, როგორც წესი, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მარტო არ ეწევიან! ამ ნარკოტიკული საშუალების მოყვარული, მინიმუმ, 1 ადამიანს მაინც „დააგემოვნებინებს“ მას. ვიმეორებ: როგორც მინიმუმ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი (როცა გავრცელება იგულისხმება) ერთმნიშვნელოვანია.

რაც შეეხება „დეკრიმინალიზაციას, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „გირჩმა“ სწორედ „დეკრიმინალიზაცია“ მოითხოვა და არა „ლეგალიზაცია“, ანუ „ციხეში ნუ სვამთ ადამიანს მოხმარებისთვისო“, რაც არ გამორიცხავს ადმინისტრაციულ სანქციებს და სხვა სოციალურ შეზღუდვებს.

* * *

სანამ ამ შესაძლო შეზღუდვათა თაობაზე ვიტყოდეთ, საინტერესოა, თვალი გადავავლოთ, როგორ რეგულირდება პრობლემა სხვადასხვა ქვეყანაში. ნიდერლანდის მაგალითი საყოველთაოდ ცნობილია. ოღონდ ბევრმა არ იცის, რომ, მაგალითად, მარაზმატულობამდე ტოტალიტარულ, კომუნისტურ ჩრდილო კორეაში კანაფი (მისი იქაური ნაირსახეობა) სრულიად ლეგალურია — ყველგან ზრდიან და ეწევიან. ამისთვის არავინ არავის სჯის!

საინტერესოა, არა? ეს იმ არგუმენტის ავტორთათვის, ვინც ჯიუტად ცდილობს ჩაგვინერგოს ცრუ აზრი, თითქოს მარიხუანას მოწევის აკრძალვა „ტოტალიტარიზმის ნიშანია“, ხოლო ლიბერალურ საზოგადოებებში მიდგომა სხვაგვარი უნდა იყოს.

ჩრდილო კორეა ლიბერალიზმის ოაზისია?

ანუ საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ჩვენებურ, ყველაფრის გამმარტივებელ-გამაპრიმიტივებელ „ექსპერტთა ლეგიონს“ წარმოუდგენია, შავ-თეთრი სქემებით რომ ცდილობს მუდამ ყველაზე რთული სოციალური პრობლემების ახსნას.

ჩრდილოეთ კორეის მაგალითი კი ადასტურებს: შესაძლოა, ასეც ხდებოდეს ბევრგან, — მარიხუანა იყოს „იარაღი“ რეჟიმის ხელში, — მოსახლეობის საბოლოოდ გამოსათაყვანებლად და მორჩილ ბრბოდ მის გადასაქცევად.

ყველგან და ყოველთვის არა, მაგრამ ასეც შეიძლება ხდებოდეს.

ესტონეთი სულ სხვა „შინაარსის“ ქვეყანაა. იქ მოწევა დაშვებულია, შენახვა კი (ნებისმიერი ოდენობით) — არა. ესე იგი „ადგილზე“ თუ მოწევ — შენი ნებაა. ოღონდ, როგორც კი ჯიბეში ჩაიდებ — კანონს არღვევ.

გერმანიაში, მცირე ოდენობით, ტარებაც არ ისჯება, არათუ მოწევა. სპეციფიკური „კაფე-შოპების“ გასახსნელად კი (როგორც ამსტერდამშია) მთელი მოძრაობაა დაწყებული.

ამერიკის ორ შტატში — კოლორადოსა და ვაშინგტონში (არ აგერიოთ ქალაქ ვაშინგტონში) მარიხუანა ლეგალიზებულია, არათუ დეკრიმინალიზებული. სხვა რამდენიმე შტატში რეფერენდუმები ჩატარდა და შესაბამისი იურიდიული პროცედურები მიმდინარეობს. თუმცა შტატების უმრავლესობაში ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია ჯერ-ჯერობით.

არგენტინაში საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სს-ს ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო, ანუ დეკრიმინალიზებულია, თუმცა კანონის ფორმა ამ გადაწყვეტილებას ჯერ არ მიუღია.

მექსიკაში იდეალური პირობებია კანაფის კულტივირებისთვის. დასაშვები ნორმა 5 გრამია. უფრო მეტზე — დიდი ჯარიმაა გათვალისწინებული.

ბელგიაში 5 გრამამდე მარიხუანას შენახვაც დასაშვებია. ოღონდ მხოლოდ სრულწლოვანთათვის, ანუ 18 წლის მოქალაქეებისთვის.

კანადა ამ მხრივ გარდამავალ პერიოდში იმყოფება.

პერუში შესანახად დასაშვები ოდენობა 8 გრამია, ჩეხეთში — 15 გრამი, კოლუმბიაში — 20 გრამი. ოღონდ წარმოება, გავრცელება და, მით უმეტეს, გაყიდვა მკაცრად ისჯება.

ხორვატეთსა და ჩილეში პირადი მოხმარება ლეგალიზებულია. მაგრამ, ისევ და ისევ, არა გავრცელება.

შვეიცარიაში დათესვა-მოყვანა-შენახვაც ლეგალურია.

* * *

სწორედ შვეიცარიის მაგალითია ყველაზე ნიშანდობლივი: „აყვავებული, საათივით აწყობილი ქვეყანაა“, ანუ, თითქოსდა, მკაფიო ილუსტრაცია არგუმენტისა, რაც მუდამ მოჰყავთ ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზების მომხრეებს: „დაღუპა შვეიცარია (ან იგივე ნიდერლანდი) მარიხუანას ლეგალიზებამ?“ ნამდვილად არა.

მაგრამ ამ არგუმენტის ავტორებს, სამწუხაროდ, ვერაფრით შეაგნებინებ, რომ ისევე როგორც ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში, არ არსებობს რაიმე უნივერსალური მოდელი, მეთოდი ან გადაწყვეტილება, რომელიც ყველა სოციუმს მიესადაგება. ის, რამაც შვეიცარია ვერ დაანგრია და ვერც დანგრევდა, შესაძლოა, სრულიად კატასტროფული, გამანადგურებელი აღმოჩნდეს სხვა მენტალობის, სხვა საზოგადოებრივი შინაარსის, სხვა სოციალური „ისტორიის“ ქვეყანაში.

ისტორიას რაც შეეხება, ბევრმა ასაკის გამო არ იცის, არც აინტერესებს (სამწუხაროდ), სხვები კი ცდილობენ „დაივიწყონ“ ან მიჩქმალონ, რა ხდებოდა ამ მხრივ საქართველოში. არადა, იმათ, ვინც 50 წელს გადააბიჯა, „კარგად“ უნდა ახსოვდეთ, რა უბედურება ტრიალებდა 1970-იანი წლებიდან დაწყებული: რამდენი ოჯახი დაინგრა, განადგურდა... C-ჰეპატიტზე აღარაფერს ვამბობ. მთელი თაობა, მთელი სოციალური კატეგორია გადაგვარდა!



თანაც ის კატეგორია, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში, ქვეყნის ელიტა უნდა ყოფილიყო, რადგან განვითარების აბსოლუტურად ყველა წინაპირობა ჰქონდა — მატერიალურიც და „სოციალური ლიფტების“ თვალსაზრისითაც. უამრავი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ 1970-იანი წლებიდან, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ოჯახებისა, რომელიც სწორედ ნარკოტიკმა დაღუპა.

შვეიცარიაში, ნიდერლანდში, თუნდაც ჩეხეთში, ამგვარი რამ გამორიცხულია: იქ ნარკომანია სოციალური „კეთრია“ და არა პრესტიჟი. ამიტომაცაა დეკლასირებული ელემენტების ხვედრი.

* * *

„პლანი შეჩვევას არ იწვევსო“ — ურცხვი ტყუილია! ისევე, როგორც ამ „მსუბუქი“ ნარკოტიკის კავშირის „არარსებობა“ ე.წ. „მძიმე ნარკოტიკებთან“. საქართველოში 1000 „მძიმე“ ნარკომანიდან 999-ს სწორედ „პლანით“ აქვს დაწყებული და არა პირდაპირ მორფინით, კოკაინით ან ჰეროინით.

მეორე მხრივ, ის არგუმენტი, რომ ადამიანი „პლანის“ მოწევის გამო ციხეში არ უნდა ჩასვა, სერიოზული და ძნელად უარსაყოფია. ასევე, თუნდაც სხვა ნარკოტიკების გამო. ოღონდ თუ არ იგულისხმება გავრცელება, მით უმეტეს გაყიდვა.

საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხში სრული უკომპრომისობაა. არადა ასეთი მიდგომა არათუ უპერსპექტივო და კონტრპროდუქტიულია, არამედ დამაზიანებელიც. ბევრად გონივრული იქნებოდა იმ მეთოდის გამოყენება, რაც უკვე აპრობირებულია სხვადასხვა ქვეყანაში. თუნდაც იმავე ნიდერლანდში.

საერთო ფორმულა შემდეგია: „ლეგალიზება გნებავთ? კი ბატონო. მაგრამ ლეგალიზება პირველ რიგში ნიშნავს დეკლარირებას!!!“

„ლეგალიზება“ ჩვენში ასე ესმით, რომ თუ პოლიციამ გაგაჩერა, მარიხუანა აღმოგიჩინა გარკვეული ოდენობით, თუმცა სხვა ნარკოტიკი არ აღმოგაჩნდა, „მოწეულშიც“ რომ იყო, ბოდიშს მოგიხდის და დაგემშვიდობება.

სინამდვილეში, ლეგალიზება იმას ნიშნავს, რომ ადამიანი კანონით ვალდებულია, განაცხადოს და სახელმწიფოს აცნობოს თავისი ჩვევის შესახებ. თუ განაცხადებს და ლეგალიზდება — მისი ნებაა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მას დაეხმარება, თავად მოამარაგებს ნარკოტიკით (შესაძლოა, არა მხოლოდ მსუბუქი ნარკოტიკით), რაკი ადამიანი მართლაც თავად წყვეტს საკუთარ ბედს.

ოღონდ „ლეგალიზება“ იმასაც გულისხმობს, რომ რაკი ეს ადამიანი სოციალური რისკის შემცველია, იგი მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ იქნება და, რაც მთავარია, არავითარი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ კანონმდებლობა აღარ დაიცავს მის ანონიმურობას: ნურას უკაცრავად, თუ ნარკომანი ხარ, ამის თაობაზე ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. შესაბამისად, ვერც საზღვარგარეთ წახვალ, ვერც სამსახურში მოეწყობი და სხვა სოციალური ბარიერებიც გექმნება როგორც ობიექტურად, ასევე სუბიექტურად, ანუ კანონმდებლობით.

ხოლო დეკლარირებაზე უარის თქმა, ავადმყოფური ჩვევის მიჩქმალვა, კვლავინდებურად გამოიწვევს სანქციებს და იძულებით აღრიცხვაზე აყვანას — იგივე სოციალური შედეგებით.

არგუმენტი „ამ ერთხელ მოვწიე, ნარკომანი კი არა ვარ“ — ვერსად ჭრის, რადგან ჯერ ერთი, იოლი დასადგენია, ადამიანი რეგულარულად „ეწევა“ თუ მართლა „იმ ერთხელ მოწია“ და „ერთხელ მოწევაც“ იწვევს ბევრ ქვეყნაში აღრიცხვაზე აყვანას. უბრალოდ, ეს აღრიცხვა შედარებით მსუბუქია და ნაკლებ შემზღუდავი.

* * *

კი ბატონო, „ადამიანის პირადი საქმეა, რას უზამს საკუთარ ორგანიზმს“, მაგრამ სხვა ადამიანის უფლებაა, იცოდეს, მაგალითად, ვის იყვანს სამსახურში, ან ვის ატანს ცოლად ქალიშვილს და ხომ არ არის იგი აღრიცხვაზე აყვანილი, როგორც ნარკომანი.

ეს საჯარო ინფორმაციაა და არა პრივატული! ასეა ძალიან ბევრ სახელმწიფოში.

მეორე მხრივ, სამუდამო სტიგმაც არაა (თუმცა „გამოსწორებული“, ანუ „განკურნებული“ ჰეროინ-მორფმომხმარებელი არ არსებობს — არ დაიჯეროთ!): ადამიანმა შეიძლება ლეგალურად იმკურნალოს და მოიხსნას აღრიცხვიდან; შესაბამისად, ამოვარდეს მონაცემთა ბაზიდანაც, მაგრამ თუ ამის შემდეგ კვლავ აღმოუჩენენ ნარკოტიკს, მაშინ ბევრად უფრო მკაცრი „აღრიცხვისა“ და მეთვალყურეობის ობიექტი ხდება — რეგულარული კონტროლის ვალდებულებით, ქვეყნის შიგნითაც კი ნებისმიერი გადაადგილების შესახებ სახელმწიფოს ინფორმირების აუცილებლობით, უცაბედი ჩხრეკებით ბინაში, უამრავი სხვა სოციალური შეზღუდვით და ა.შ.

თუკი ის „გირჩელები“, ვინც მარიხუანას ლეგალიზებას ან დეკრიმინალიზებას მოითხოვს, ამასთანავე, არ დაეთანხმებიან პრინციპს, რომ ლეგალიზებაც და დეკრიმინალიზებაც აუცილებლად უნდა გულისხმობდეს დეკლარირებას, მაშინ სრული უფლებით შეგვეძლება დავასკვნათ, რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, საშინელი რისკის წინაშე აყენებენ ამ ჩვენს ისედაც დავრდომილ და მრავალი სოციალური მანკით დაავადებულ საზოგადოებას.

ნიკა იმნაიშვილი

„პლანი შეჩვევას არ იწვევსო“ — ურცხვი ტყუილია! ისევე, როგორც ამ „მსუბუქი“ ნარკოტიკის კავშირის „არარსებობა“ ე.წ. „მძიმე ნარკოტიკებთან“. საქართველოში 1000 „მძიმე“ ნარკომანიდან 999-ს სწორედ „პლანით“ აქვს დაწყებული და არა პირდაპირ მორფინით, კოკაინით ან ჰეროინით.

ქართული ეკლესიის ღირსეული საჭეთმპყრობელი

ჩვენს სათაყვანებელ პატრიარქს დაბადებიდან 84 და აღსაყდრებიდან 39 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ ცნობილი მეცნიერის, მშენებლის, ბიზნესმენისა და პუბლიცისტის ომარ მარგველაშვილის წერილს მისსავე წიგნიდან „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“...

დიახ, სწორედ და მხოლოდ უწმინდესი და უნეტარესია ერთადერთი უზენაესი გონება და სიწმინდე ტანჯული საქართველოსი.

საგულისხმოა, რომ უკიდურესი ფიზიკური და სულიერი ძნელბედობის ჟამს, საქართველოს უფალი მოუვლენდა ხოლმე ზნეობრივ გმირებს: ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ქეთევან წამებულს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს... წმინდა საეკლესიო მოღვაწეთაგან — გრიგოლ ხანძთელს. ისინი გადაგვარება-გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ქართველ ერს ეცხადებოდნენ ჭეშმარიტ მხსნელებად.

მართალია, რუსეთთან შეერთების გამო ფიზიკური გადაშენება აღარ გვემუქრება, მაგრამ „ლუარსაბ თათქარიძეს“ დამსგავსებული ქართველის გადაგვარებას წინ თითქოს აღარაფერი ედგა. სწორედ ასეთ დროს მოუვლინა განგებამ მწუხარე ქვეყანას ილია ჭავჭავაძე (ილია მართალი), სწორედ დიდმა ილიამ დაუდო სათავე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

ქართველმა ერმა უპირველესად სწორედ მასთან გააიგივა ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენის იდეა...

სწორედ ამიტომ უწოდა ერმა „ქვათა ღაღადის“ ავტორს საქართველოს უგვირგვინო მეფე!

გასული საუკუნის დასაწყისსაც დიდი ილიას ტვიფარი აზის, მაგრამ მაშინდელმა ქართველმა ლიბერალ-კოსმოპოლიტებმა არ აპატიეს ერის სულიერი მამობა და წიწამურში აღასრულეს საუკუნის შემზარავი დანაშაული. მიუხედავად ამგვარი მუხანათობისა, ილიას ერი მაინც ვერ გადაგვაჯიშეს. ქართველებმა გაუძლეს ბოლშევიკების უღმერთო შემოტევას.

სრულიად ანალოგიურია ფუნქცია და როლი ჩვენი პატრიარქისა... ერის სულიერი და ფიზიკური ხსნის იდეა სწორედ მისგან წარმოსდინდება და მისი ღვთაებრივი ქადაგებებით ავლენს თავს...

სრულიად აშკარად, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მასირებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე, ეროვნულ ტრადიციებზე, ოჯახსა და მართლმადიდებლობაზე.

უნდა ვაღიაროთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ანუ მაშინ, როდესაც ცხოვრების ასპარეზზე ჩემი და წინა თაობა გამოვიდა, ორთოდოქსი კომუნისტები თითქმის აღარ იყვნენ და კიდევ თუ სადმე შემორჩნენ, ამინდს ვეღარ ქმნიდნენ. ამიტომ, ფიზიკური გადაშენების, მითუმეტეს, ზნეობრივი გადაგვარების საფრთხე აღარც კი გვემუქრებოდა ქართველებს. მაშინდელი საქართველოს ყველა დონის პარტიული ხელმძღვანელების აბსოლუტური უმრავლესობა საქვეყნო, ეროვნული საქმის კეთებას ცდილობდა! მათ შორის, ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, მეც გახლდით... პარტიული მუშაკი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ერთი აგური მეც დამიდვია სამშობლოს აღმშენებლობაში...

არადა, აღმშენებლობა მაშინ იყო, თუ იყო, რადგანაც დღევანდელივით უცხოთა თვალის ასახვევად კი არ შენდებოდა, არამედ, ყველა მშენებარე ობიექტი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება-გაკეთილშობილებისთვის იყო გამიზნული! აღარაფერს ვიტყვი მილიონობით კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართზე, რომელიც ყოველწლიურად შენდებოდა და უსასყიდლოდ გადაეცემოდა ხალხს!

უამრავი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, კომუნალური, კულტურული, ჯანმრთელობის, განათლების, სამეცნიერო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები შენდებოდა. მთელი საქართველო დიდ სამშენებლო პოლიგონს მოგაგონებდათ... ამას დაუმატეთ 60-70-იანი წლების კულტურული რენესანსი, როდესაც ქართულმა ლიტერატურამ, პოეზიამ, კინემატოგრაფმა, თეატრალურმა თუ სახვითმა ხელოვნებამ, ქორეოგრაფიამ, ესტრადამ სახელი მოიხვეჭა. ჩვენი სატელევიზიო პროგრამები მაღალმხატვრულობით, შემეცნებითი გადაცემებითა და აქტუალური თემატიკით გამოირჩეოდნენ, დაბოლოს, ქართულმა სპორტმა მსოფლიოში გაგვითქვა სახელი!

ის აღმავლობისა და აღმშენებლობის პერიოდი ჩასარეცხად ნამდვილად არ გვემეტება, არც მე და არც ჩემს თაობას...

უნდა გვახსოვდეს: ხელაღებით წარსულის უარყოფა მომავალს სასიკეთოდ არ წაადგება!

თუმცა, ამ ყველაფერს, სისხლსავსე საზოგადოებრივ ასპარეზს თითქოს რაღაც აკლდაო და ეს რაღაც, როგორც აღმოჩნდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყო! იმ დროს ხალხში, მათ შორის (უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაშიც) იყო ღმერთის რწმენა — შვილებსაც ვნათლავდით, ხატებთან სანთლებსაც ვანთებდით, წითელ კვერცხებსაც ვაგორებდით საფლავებზე, მაგრამ ეს ზედმეტი აფიშირების გარეშე კეთდებოდა.

უფრო სწორედ, მართლმადიდებლობის — ქართველი კაცის მთავარი იდეოლოგიის წარმოჩენა დადგა დღის წესრიგში და ღვთის განგებით მაშინ ესეც მოხდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ საკრალური მნიშვნელობისაა ჩვენი ერისთვის 1977 წლის 25 დეკემბერი, ანუ დღე, როდესაც უფლის ნებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფეო ტახტზე ილია II კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა და დაიწყო მართლმადიდებლობის გაძლიერება-აღორძინების სრულიად ახალი ერა. ერა, რომელსაც ერთნაირი თაყვანისცემით ერიცა და ბერიც აშენებდა!

მას შემდეგ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სიბრძნით იმართება ჩვენი 2000-წლოვანი ეკლესია და არა მარტო ის — რადგან ილია II-ის ავტორიტეტი იმდენად აღმატებული და შეუვალია, რომ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაზე. ამ ხნის მანძილზე იცვლებიან საერო ხელისუფლებანი... არ იცვლება და კიდევ უფრო მაღლდება სახელი და ღირსება ქართული ეკლესიისა.

1989 წლის 9 აპრილიდან (როდესაც ყურად არ ვიღეთ პატრიარქის შეგონება) მოყოლებული, რა არ გადავიტანეთ, „წისქვილის დოლაბი არ დატრიალებულა ჩვენს თავს“, თორემ, სამოქალაქო ომიდან დაწყებული, ვიდრე 2008 წლის ომამდე, ყველა „სიკეთე“ ვიწვნიეთ. გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ თუ არა ილია II, რა მძიმე შედეგებს მივიღებდით ყველა თავსდამტყდარი განსაცდელიდან...

საარაკოა უწმინდესის როლი აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენების ჟამს... როდესაც კლოუნი სააკაშვილი რუსთაველზე რუსეთზე „გამარჯვებას“ ზეიმობდა, მაშინ ჩვენი მხცოვანი პატრიარქი ოკუპირებული ტერიტორიიდან დაღუპული მეომრების უპატრონოდ მიტოვებული გვამების გადმოსვენებისთვის იღვწოდა.

ალბათ, არის რაღაც ღვთაებრივი იმაში, რომ მისი უწმინდესობის წინაშე „გამარჯვებული“ რუსი ჯარისკაცებიც კი მუხლებზე ეცემოდნენ და დაკარგულ საკუთარ ადამიანობას წამიერად მაინც უბრუნდებოდნენ.

მრავლისმეტყველი იყო იმავე წლის ბოლოს პატრიარქის ვიზიტი მოსკოვში, რასაც პერევიდან ჯარის გამოყვანა მოჰყვა... თუმცა სააკაშვილის უგუნურმა განცხადებამ, იმავე საღამოს უკან შემოაბრუნა რუსული ტანკები!..

ძნელი წარმოსადგენია, კიდევ რა საშინელებათა მომსწრენი ვიქნებოდით იმ კოშმარული 9 წლის განმავლობაში, რომ არა მისი უწმინდესობის ძალისხმევა...

და მაინც, რასაც მის უწმინდესობას უბედავდნენ ეს უწმინდურები (საკურთხეველში ბოკერიას, უგულავასა და თოფურიძის არაერთგზის შეჭრიდან დაწყებული, თუთბერიძეების, პაიჭაძეების, კვესიტაძეებისა თუ ჩერგოლეიშვილების ტელე-შეურაცხყოფით დამთავრებული) ისევ ჩვენი ინერტული საზოგადოების ბრალია!

არის რაღაც საკრალური პატრიარქის რუსეთთან დამოკიდებულებაში... ერთმორწმუნეობა, კულტურა, ტრადიციები და უღრმესი ჭვრეტა რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობებისა, მისთვის არსებითი არგუმენტებია მომავალი კეთილმეზობლობისთვის...

მისივე თქმით, აფხაზეთიცა და ცხინვალიც საქართველოს ორგანული ნაწილებია და ისინი კვლავ დაუბრუნდებიან დედასამშობლოს. რუსეთის მიერ წართმეულს მხოლოდ რუსეთი დაგვიბრუნებს და სხვა ვერავინ. საქართველოს დანაწევრებას არ დაუშვებს ღვთისმშობელი — ჩვენი ერის ზეციური მფარველი და სასოება!..

მისი უწმინდესობა ილია II მეორე ილიაა! ამიტომაც არ ეშვება რუსეთისკენ სავალ გზებს, რადგანაც ამ ღვთიურ ბრძენ კაცს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ხვალინდელი დღე „ნატო-ნატოს“ ისტერიულ ყვირილში და ევროკავშირისკენ უაზრო ლტოლვაში კი არა (რადგანაც, ისეთები, როგორებიც ვართ, იქ არავის ვჭირდებით), არამედ რუსეთთან კეთილმეზობლობაზე გადის.

უპრეცედენტოა საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გავლენა... აშშ-ის გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 94 პროცენტზე დაბლა არ ჩამოდის.

პატრიარქი საოცარი ტაქტითა და ქრისტიანული მორალური კანონებით უპირისპირდება ამორალიზმის იმ გამოვლინებებს და უხამსობათა იმ ნაკადს, რაც, სამწუხაროდ, „ცივილიზებული დასავლეთიდან“ მოედინება და ანადგურებენ ადამიანის სულიერ ფასეულობებს...

მისთვის რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობა დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს 200 წლის წინათ იყო, ამიტომაც ამშვენებს, ალბათ, მისი საბრძანებელს ერეკლე II-ის სურათი...

ჩემი უფროსი მეგობრის, აწ გარდაცვლილი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებს მოვიშველიებ, რომლითაც დიდმა მწერალმა და მოაზროვნემ ერთი ჩემი ნაცნობი პუბლიცისტის დასმულ კითხვას უპასუხა:

— ბატონო ჭაბუა! ალბათ, გსმენიათ, ლამის რეფრენად ქცეული გამონათქვამი — მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი! თქვენი აზრით, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები — ევროპელები თუ აზიელები?

— ჩვენ არც ევროპელები ვართ, არც აზიელები, ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე. პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ.

ჩვენ ქართველები ვართ!!!

დაბოლოს, თავს უფლებას მივცემ, დიდებული მურმან ლებანიძის ღრმააზროვანი ლირიკული მონოლოგით დავამთავრო უწმინდესისადმი მიძღვნილი წერილი:

მკითხე და გეტყვი, რისი
თამარი! —
ქართლის ცხოვრების
რა ვიცი მეტი!
დავითი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო... პირველი სვეტი!
მკითხე და გეტყვი რის ვაჟა,
მენდე,
ერის მეობით და თავის მეთი,
დავითის შემდეგ
ილია იყო... მეორე სვეტი!
გაზნექილია ქარში ალვის ხე,
აწეწილია სამშობლოს ხედი...
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე
მესამე სვეტი!

იქნებ სწორედ ჩვენი სათაყვანებელი უწმინდესი და უნეტარესი, ქართველი ერის სულიერი მოძღვარი, თითქმის სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხილი კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა ქართველთათვის ნანატრი „მესამე სვეტი?!“

ეს ის საკრალური კითხვაა, რომლის პასუხი ცხადზე-უცხადესია ყოველი ჭეშმარიტი ქართველისთვის!...

ომარ მარგველაშვილი

თურქულ-ქართული ურთიერთობები და ურთულესი გამოწვევები

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, რეალობა ისაა, რომ თურქეთი სერიოზულ დესტაბილიზაციას განიცდის, სულ უფრო მეტად შორდება დასავლეთს და ურთიერთობებს აღრმავებს ჩრდილოეთის მიმართულებით. საქართველოს ბედი კი დიდწილად სწორედ თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზეა დამოკიდებული – მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა.

უკვე მერამდენე თვეა, საქართველოს სიახლოვეს, მეზობელ თურქეთში საკმაოდ სახიფათო პროცესები ვითარდება. დაძაბულობა არ ცხრება და ეს მდგომარეობა, ცხადია, ვერც საქართველოს მოქალაქეებს დატოვებს გულგრილად, არა მარტო საფრთხეების გამო, არამედ თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება რესპუბლიკას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ მხარში ედგა და გარკვეულ მომენტებში უმნიშვნელოვანეს დახმარებას უწევდა ჩვენს ქვეყანას. მაგალითისთვის, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს მთავრობამ არმიის რეორგანიზება და ნატოს სტანდარტებთან მიახლოება გადაწყვიტა, ამ პროცესებში ძალიან დიდი წვლილი სწორედ თურქეთმა შეიტანა: ნატოს ერთერთი პირველი ინსტრუქტორები სწორედ თურქები იყვნენ. საქართველო და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან, ჩვენს შორის დაახლოებით 76 ხელშეკრულებაა გაფორმებული, მათ შორის – ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ეკონომიკის და სხვა დარგებშიც. ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმი მოქმედებს და საზღვრის გადაკვეთა მაქსიმალურად არის გაადვილებული. თურქულმა ინვესტიციებმა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის მესამე კვარტალში 111 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ჩვენი ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობის 7,4%, წლის პირველი ხუთი თვის მონაცემებით, სწორედ თურქეთზე მოდიოდა. ზემოთ მოყვანილი მცირედი სტატისტიკიდანაც კი ნათლად ჩანს, რამდენად არის დამოკიდებული საქართველო ეკონომიკური მიმართულებით თურქეთზე, მისი ეკონომიკა კი, როგორც ცნობილია, მოცულობით მსოფლიოს 20 უდიდეს ეკონომიკებს შორისაა. ამ და სხვა მიზეზების გამო ნებისმიერი ცვლილება ამ ქვეყანაში პირდაპირ აისახება საქართველოზე.

სადღეისოდ თურქეთს, ეკონომიკური გამოწვევების გარდა, სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც გააჩნია, რომელიც, მათ შორის, უსაფრთხოებას ეხება. ვითარება ნელნელა ძალზედ ემსგავსება 80-90-იანი წლების პერიოდს, როდესაც აბდულა ოჯალანი და ქურთ მუშათა პარტია ტერორში ამყოფებდნენ მთელი თურქეთის მოსახლეობას. იმ პერიოდში არავინ იცოდა, სად და როდის აფეთქდებოდა დანაღმული მანქანა ან სადმე საგულდაგულოდ დამალული ბომბი. მართალია, აბდულა ოჯალანი, ქურთული სეპარატიზმის მამა, 1999 წლის შემდეგ ფაქტობრივად სრულ იზოლაციაში იმყოფება და მისი ბრძანების საფუძველზე 2004 წელს PKK-მ კაპიტულაცია გამოაცხადა, თუმცა ქურთული წინააღმდეგობა სრულად მაინც არ შემწყდარა და დროდადრო მცირე ტერაქტებით ახსენებდა თავს თურქეთის ხელისუფლებას. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი მის მიერ განხორციელებული ტერაქტების რაოდენობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და შეიძლება, ითქვას, თურქეთი კვლავ ტერორის ქვეშაა.

მცირე ისტორიული ექსკურსი პრობლემის არსში ნაკლებად ჩახედული მკითხველისთვის: 1999 წლიდან მოყოლებული, თურქეთში PKK-ს დემორალიზების შემდეგ ქურთული წინააღმდეგობა რამდენიმე ნაწილად დაიყო, მათ შორის – ისეთად, რომელმაც ბრძოლის პოლიტიკური გზა აირჩია და ისეთად, რომლის მოქმედებამ რადიკალური ხასიათი მიიღო. მთლიანობაში ქურთული სეპარატიზმის პრობლემა, როგორც ასეთი, დღის წესრიგში აღარ იდგა, სანამ არ დაიწყო სირიის კრიზისი. აქ ქურთები, ალბათ, ერთერთ ყველაზე დაჩაგრულ მხარედ წარმოჩინდნენ. მათ არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფო, ამავდროულად, როგორც სამთავრობო ძალების, ისე ისლამისტების მხრიდან ძალადობის მსხვერპლს წარმოადგენდნენ. თუმცა დასავლეთის მხარდაჭერით ისინი ერთ-ერთ ყველაზე მებრძოლ ძალად ჩამოყალიბდნენ და საბოლოოდ ამერიკელი დემოკრატები მათ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურ მებრძოლებად განიხილავდნენ. როგორც ჰილარი კლინტონმა საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში გამართული პირველი დებატებისას ახსენა, ქურთების შეიარაღება იყო ის, რასაც თეთრი სახლი აქტიურად განიხილავდა.

2015 წლის შემდეგ ქურთულმა სეპარატიზმმა თურქეთს კიდევ ერთხელ შეახსენა თავი, თუმცა ამჯერად ის ბევრად უფრო გამოცდილია და 1984-1999 წლებთან შედარებით, გაცილებით მეტი მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო საზოგადოებაში, რაც, მათ შორის, თურქეთის ბოლოდროინდელი ქმედებებითაც არის განპირობებული.

სირიაში მიმდინარე კრიზისის პარალელურად ქურთების გააქტიურება ემთხვევა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას: რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დაძაბვას. ალბათ, გახსოვთ რუსული მოიერიშის ჩამოგდების ამბავი, რომელიც 2015 წლის 24 ნოემბერს მოხდა, შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და რუსეთის მხრიდან თურქეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესება. სხვათა შორის, ხსენებული აბდულა ოჯალანი და ქურთული სეპარატიზმი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან, ქურთი მეომრები სირიაში არსებულ სწორედ საბჭოთა სამხედრო ბაზებზე გადიოდნენ საბრძოლო მომზადებას და იარაღსაც სწორედ სსრკ აწვდიდათ. შედეგად 1984-1999 წლების ქურთულ-თურქული დაპირისპირებისას 30.000 ადამიანი დაიღუპა. „ამხანაგი აპო“, როგორც ხშირად მოიხსენიებდნენ ოჯალანს ქურთები, ხშირად ჩადიოდა მოსკოვში და ფართოდ მიღებული ფიგურა იყო კომუნისტურ წრეებში, ისევე, როგორც ირანელი და ერაყელი მეამბოხე ქურთების მამა მუსტაფა ბარზანი, რომლის შვილი მასუდ ბარზანი ერაყის ქურთისტანის ლიდერია. ამის გათვალისწინებით, ეჭვი, რომ ქურთული სეპარატიზმის გააქტიურების უკან შესაძლოა, სწორედ რუსეთი იდგეს, არც ისე უსაფუძვლოა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთთან ურთიერთობების გარკვევის შემდეგ თურქეთში ტერორისტული აქტების რაოდენობამ იკლო. გასული წლის 16 ივლისის გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდეგ (რომელიც, ჩემი აზრით, წყალგამყოფის როლს ასრულებს თანამედროვე თურქეთის ისტორიაში: ამით მთავრდება ქემალიზმი თავისი სეკულარიზაცია-ვესტერნიზაციით და იწყება ნეოოსმანიზმი მისი ზომიერი ისლამიზმით და ძველი ისტორიული საზღვრების აღდგენისაკენ სწრაფვით, ფაქტობრივად, არც ერთ სერიოზულ ინციდენტს არ ჰქონია ადგილი ტერორისტების მხრიდან და მეტიც, ერთადერთი, ვინც ტერორით იყო დაკავებული, თავად სახელმწიფო აპარატია, რომელმაც დაითხოვა ათასობით მასწავლებელი, პროკურორი, მოსამართლე და სხვადასხვა რანგისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები სამსახურებიდან ფეთჰულა გიულენთან კავშირის ბრალდებით. ბევრი ციხეშიც ჩასვეს. ამ პერიოდში თურქეთი მკაცრად აკრიტიკებს დასავლეთს, ზოგიერთი მაღალჩინოსანი პირდაპირ ბრალდებებსაც არ ერიდება. მაგალითად, გადატრიალების მცდელობის ღამესვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი, ამჟამად უკვე შინაგან საქმეთა მინისტრი სულეიმან სოილუ (Suleyman Soylu) „ტვიტერში“ პირდაპირ ადანაშაულებდა ამერიკას გადატრიალების მოწყობაში. აღსანიშნავია, რომ ის შს მინისტრად სწორედ ამ მოვლენების შემდეგ დაინიშნა. თავად პრეზიდენტი ერდოღანიც იმჟამინდელ განცხადებებში გარე ძალების ჩარევაზე მიუთითებდა.

ამგვარად, 16 ივლისის შემდეგ თურქეთის ოფიციალური პირების განცხადებები სულ უფრო ანტიდასავლური ხდებოდა და პირიქით, სულ უფრო ლოიალური რუსეთთან მიმართებაში. სამხედრო ამბოხის შემდეგ პირველად ერდოღანი სწორედ მოსკოვს ესტუმრა. თუ მის მიერ გამართული შეხვედრის კადრებს დავაკვირდებით, საკმაოდ ადვილად შევამჩნევთ, ვინ დომინირებს ამ შეხვედრაზე. ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ გადატრიალების მცდელობის ჩახშობაში ერდოღანს სწორედ რუსეთი დაეხმარა და მისი ლოიალური განწყობა მოსკოვისადმი სწორედ ამითაა განპირობებული. თუმცა არსებობს კონტრჰიპოთეზაც, რომელიც საკმაოდაა გავრცელებული თურქულ მოსახლეობაში: ეს ამბოხი სხვა არაფერი იყო, თუ არა ერდოღანის „სპექტაკლი“, რომლის მეშვეობითაც მან ჯერ კიდევ 2011 წელს, პრემიერობისას არმიაში დაწყებული წმენდა დაასრულა (გენერალიტეტი მისი და მისი იდეების პირდაპირი მტერი იყო, სამხედროები იყვნენ კონსტიტუციური გარანტი იმ იდეების დაცვისა და გაგრძელების, რომელსაც მუსტაფა ქემალ ათათურქმა 1920-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი). 1960 წლიდან მოყოლებული, არმია 4-ჯერ აუჯანყდა ხელისუფლებას, როგორც კი მან ვესტერნიზაციის გზიდან გადახვევა მოინდომა და ოთხივე მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ მეხუთე ამბოხი ხელისუფლების და უფრო ზოგადად ზომიერი ისლამისტების გამარჯვებით დასრულდა.

პროცესების ამგვარად განვითარების ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა, ვინ დგას დეკემბრის თვეში ქაისერსა და სტამბოლში მომხდარი ტერაქტების უკან, რომელთაც 55 ადამიანი ემსხვერპლა და კიდევ 100-ის დაშავება მოჰყვა... ახალი, 2017 წლის ღამეს კი, სტამბოლში, გადაცმული სანტა-კლაუსის მიერ მოწყობილ აფეთქებას 39 ადამიანი ემსხვერპლა!

ზოგადად, თურქეთში მომხდარი ტერაქტების უკან ხან ისლამურ სახელმწიფოს“, უფრო ხშირად კი ქურთ მუშათა პარტიას ასახელებენ ხოლმე, როგორც ყველაზე ცნობილ, ყველაზე ძველ და მძლავრ ტერორისტულ ორგანიზაციას. თუმცა მათ შორის, ვინც ქურთ მუშათა პარტიისკენ თითის გაშვერას ჩქარობს, ბევრს ავიწყდება, რომ დეზორგანიზების შემდეგ მას რამდენიმე დაჯგუფება გამოეყო და დღეს ისინი ბევრად უფრო საშიშ მეთოდებს იყენებენ, მაგალითად, სუიციდურ ტერორიზმს. ეს არ ახასიათებდა ქურთ მუშათა პარტიას – ის არ იყო რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული ორგანიზაცია. როდესაც სტამბოლის ბეშიქთაშის სტადიონთან ტერორისტმა თავი აიფეთქა, ეს აქტიც უაპელაციოდ მიაწერეს PKK-ს. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ტერაქტის, ისევე, როგორც მრავალი წინა შემთხვევის უკან, ორგანიზაცია „ქურთისტანის თავისუფალი ქორები“ იდგა. იგი დიდი ხნის წინათ გამოეყო მუშათა პარტიას და დამოუკიდებელ ბრძოლას აწარმოებს ქურთისტანის დამოუკიდებლობისთვის. ამ ტერაქტიდან რამდენიმე დღეში აფეთქება მოხდა ქალაქ ქაისერში, დაიღუპა რამდენიმე სამხედრო. ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა „თავისუფალმა ქორებმა“ აიღეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტერაქტების ეს სერია ქურთი პოლიტიკური ლიდერის, „სახალხო დემოკრატიული პარტიის“ ხელმძღვანელის, „ქურთ ობამად“ ცნობილი სელაჰათი დემირთაშის დაკავებას უკავშირდებოდა. მისმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში 10% აიღო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია პროქურთული პარტიისთვის.

დღევანდელობას რომ დავუბრუნდეთ, სულ ცოტა ხნის წინათ თურქეთი კვლავ მოექცა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში – ამჯერად ქვეყანაში რუსეთის ელჩის ანდრეი კარლოვის საჯაროდ მკვლელობის გამო. მომხდარი ტერორისტულ აქტად გამოცხადდა, თუმცა უამრავი კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია და არაერთ ეჭვს ბადებს. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ თურქეთი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მისთვის ისედაც უხერხულ პარტნიორ რუსეთთან, რომელთანაც ბოლო პერიოდში ჯერ უეცარი განშორების და შემდეგ ასეთივე უეცარი დაახლოების უცნაური ისტორია აკავშირებს. ამ მკვლელობიდან მეორე დღეს თურქეთს, რუსეთსა და ირანს შორის სირიის კრიზისზე მოლაპარაკებები იყო დაგეგმილი. ახლა ანკარა შეხვედრაზე, ცხადია, ბევრად უფრო შებოჭილი იქნებოდა...

თუმცა ნუ ვიფიქრებთ, რომ თურქეთის რუსეთ-ირან-ასადის კოალიციისკენ გადახრა მხოლოდ ამ ფაქტორს უკავშირდება: მას მთელი რიგი კომპლექსური გეოპოლიტიკური ცვლილებები უდევს საფუძვლად.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, რეალობა ისაა, რომ თურქეთი სერიოზულ დესტაბილიზაციას განიცდის, სულ უფრო მეტად შორდება დასავლეთს და ურთიერთობებს აღრმავებს ჩრდილოეთის მიმართულებით. საქართველოს ბედი კი დიდწილად სწორედ თურქეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზეა დამოკიდებული – მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა.

ბაკურ ხელაძე

რაჭულ-იმერული საუკეთესო ღვინოები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნულ სააგენტოში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ მოძიებული და ჯიღაურას კვლევით ბაზაზე გაშენებული ქართული უნიკალური ყურძნის ჯიშებისგან დაყენებული ღვინოები შეაფასეს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ ღვინის სპეციალისტებთან ერთად იმერეთის და რაჭის ყურძნის უნიკალური ჯიშებისგან დაყენებული 24 სახეობის ღვინო შეაფასეს და საუკეთესო გამოავლინეს. შეფასებლად წარდგენილი 10 სახეობის თეთრი და 14 სახეობის წითელი ღვინიდან ყველაზე მაღალი შეფასება თეთრი ღვინოებიდან — კაბისტონმა, ხოლო წითელი ღვინოებიდან — ძელშავმა დაიმსახურა. ღვინის შეფასება მოხდა რამდენიმე პარამეტრით, მათ შორის — შეფერილობის ინტენსივობა, სანელებლების ტონები, სიმჟავე, ტანინი, სიუხეშე, ალკოჰოლის შეგრძნება.

„ჩვენ დავაგემოვნეთ იმერეთის და რაჭის ყურძნის ცნობილი და მივიწყებული ჯიშებით დაყენებული ღვინოები. მათ შორის იყო ისეთი სახეობები, ისეთი ჯიშებით დამზადებული ღვინო, რომელიც მიტოვებულია და ნამდვილად იმსახურებს აღიარებას. ესეთია, მაგალითად, თეთრი კაბისტონი. ყურძნის ჯიშების და ღვინის შეფასება და შერჩევა ყოველწლიურად ტარდება. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა გაგრძელდეს, რათა უფრო კარგად გამოიკვეთოს ის ჯიშები, რომლებიც ქართულ ცნობილ ვაზის ჯიშებს უკვე წარმოებაში შეიძლება დაემატოს“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ მოძიებულია და ჯიღაურას ბაზაზე გაშენებულია ვაზის ქართული ჯიშის 437 და უცხოური ჯიშის 350 სახეობის საკოლექციო ნარგაობა. ჯიღაურას ბაზაზე, ყოველწლიურად, ნაკლებად შესწავლილი 70-მდე ჯიშის ყურძნისგან, კვლევისთვის, ღვინის დაყენება და შემდგომ სპეციალისტების მიერ მისი შეფასება ხდება, რათა მომავალში საუკეთესო ჯიშების გავრცელება და საწარმოო მიმართულებაში ჩართვა მოხდეს.

„პროექტის მთავარი მიზანია ვაზის ისეთი ადგილობრივი ჯიშების პოპულარიზაცია, რომლებიც ნაკლებად არის გავრცელებული საქართველოში და მხოლოდ საკოლექციო ნარგაობებშია გაშენებული. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ჯიშები მაღალი ხარისხის ნაყოფით გამოირჩევიან, მათ მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური პოტენციალი გააჩნიათ. საქართველოსთვის, როგორც მცირემიწიანი ქვეყნისთვის, მევენახეობა-მეღვინეობის კუთხით ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეთნოგრაფიულ კუთხეებში ადგილობრივი ჯიშების შესწავლა, მათგან დამზადებული ღვინის პოპულარიზაცია და მათი სამომხმარებლო ბაზარზე დამკვიდრება“, — აღნიშნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად გაგრძელებს ქართული ყურძნის უნიკალური ჯიშების კვლევას, შეფასებას და მეწარმეებისთვის წარდგენას.

მინი ქალაქი ბათუმში შენდება

ბათუმში 200 მილიონიანი პროექტის განხორციელება იწყება

„ორბი ჯგუფი“ ბათუმში მინი ქალაქის მშენებლობას იწყებს, რაშიც 200 მლნ ლარის ინვესტიციას განახორციელებს. როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე განმარტავს, ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე, სპორტსკოლის მიმდებარედ 15 227 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მასშტაბური კომპლექსის მშენებლობა იწყება.

პროექტი სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, ღია სპორტული მოედნის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ბავშვთა გასართობი ცენტრის, საგამოფენო დარბაზის მშენებლობას გულისხმობს. ტერიტორიაზე მოეწყობა ასევე რეკარეაციული ზონა.

„პროექტი ბათუმში პირველი ქვეითად მოსიარულეთა ხიდის მშენებლობას ითვალისწინებს, რაც გარდა იმისა, რომ მოძრაობას განტვირთავს, ასევე ქალაქის ზღვისპირა ნაწილს კიდევ უფრო გაალამაზებს.

ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ რეგიონის განვითარებისთვის ღირებულ ნებისმიერ საინვესტიციო პროექტს. მინდა, ვუსურვო წარმატება კომპანიას ამ ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას“, — აცხადებს რამაზ ბოლქვაძე.

უკვე ცნობილია, რომ პროექტი 1000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილისა და 4500-ზე მეტი განთავსების ადგილი გაჩენას ითვალისწინებს.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ხიმშიაშვილის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულეთათვის გადასასვლელი ხიდი აშენდება, რაშიც 1 500 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდება. ასევე პროექტი 10 მეტრი სიგანის ახალი საავტომობილო გზის მოწყობას ითვალისწინებს, რომელიც გმირთა ხეივანს დავით ხახუტაიშვილის ქუჩასთან დააკავშირებს.

მოხდება ასევე საავტომობილო გზის გარე განათებით აღჭურვა. ტერიტორიაზე არსებულ ორ სპორტულ დარბაზში მოქმედი სპორტული სახეობების უწყვეტად ფუნქციონირების მიზნით კომპანია ალტერნატიულ შენობა-ნაგებობაში სპორტული სახეობების განთავსების ხარჯებს დაფარავს.

ისრაელელი ჟურნალისტები ჩვენს ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

თბილისში ისრაელის წამყვანი მედიასაშუალებების 15-მდე წარმომადგენელი ჩამოდის. ვიზიტის მიზანია საქართველო-ისრაელის ურთიერთობებისა და პერსპექტივების გაცნობა, საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესწავლა და ისრაელის პრესისა და საინფორმაციო სააგენტოებისთვის მასალების მომზადება.

ისრაელელი ჟურნალისტები თბილისს საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის, „ისრაელის სახლისა“ და ისრაელის კომპანია „დორონ თრეველის“ ორგანიზებით ეწვევიან. პრესტურში მონაწილეობენ ისეთი ცნობილი გამოცემებისა და სააგენტოების წარმომადგენლები, როგორებიცაა მრავალმილიონიანი აუდიტორიის მქონე საინფორმაციო სააგენტო YNET, ISRAEL HAYOM, MASA ACHER, NEWS, WALLA, PASSPORT NEWS, NEWS OF TOURISM, MAKO და სხვ.

ისრაელელი ჟურნალისტები პირველ შეხვედრას 9 იანვარს საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატასა და „ისრაელის სახლში“ გამართავენ, სადაც ბიზნეს პალატის პრეზიდენტი და „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელი იციკ მოშე ისაუბრებს ისრაელსა და მსოფლიო ებრაელობასთან საქართველოს ურთიერთობებსა და პოტენციალზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის და „ისრაელის სახლის“ თაოსნობით, შარშან ისრაელში, საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ორი წიგნის გამოცემა სწორედ ტურიზმის სააგენტოსთან თანამშრომლობით მოხერხდა.

ღონისძიებაზე დაგეგმილია საქართველოში მოქმედი ისრაელური ტურისტული კომპანიის „დორონ თრეველის“ დაჯილდოება ისრაელიდან და მსოფლიო ებრაელობიდან საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტის შემოყვანისთვის (20 ათასი ტურისტი წლიურად).

მსოფლიოს სიახლენი

დონალდ ტრამპი ყველა ელჩის შეცვლას გეგმავს

ამის შესახებ ინფორმაციას The New York Times ავრცელებს. გამოცემა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ტრამპი ინაუგურაციის შემდეგ, ბარაკ ობამას დროს დანიშნულ ყველა ელჩს გაიწვევს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტები ელჩებს რამდენიმე თვით თანამდებობებზე ტოვებდნენ.

ჯოზეფ ბაიდენი: დონალდ, დრო, გაიზარდოთ!

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა აშშ-ის ახლად არჩეულ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს ქცევის მანერების შეცვლა ურჩია. აღნიშნულის შესახებ ბაიდენმა ტელეარხ PBS-ის ეთერში განაცხადა. ჯო ბაიდენს კომენტარი სთხოვეს გაეკეთებინა დონალდ ტრამპის მიდრეკილებაზე თავისი აზრის ხშირად უხეში ფორმით, სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ მეშვეობით გამოხატვაზე.

„გაიზარდეთ, დონალდ, გაიზარდეთ. დროა, გაიზარდოთ. თქვენ პრეზიდენტი ბრძანდებით და გვაჩვენეთ რა შეგიძლიათ“, — განაცხადა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა. ბაიდენმა ასევე აღნიშნა, რომ მას უფრო ის კორექტივები აწუხებს, რომელსაც დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია საგარეო სფეროში შეიტანს, ვიდრე შიდა პოლიტიკაში.

რუსეთი სირიაში შეიარაღებულ ძალებს ამცირებს

რუსეთის ფედერაცია სირიაში შეიარაღებული ძალების დაჯგუფების რაოდენობის შემცირებას შეუდგა. პირველი ნაკადის ფარგლებში, სირიას ტოვებენ ავიამზიდი „ადმირალი კუზნეცოვი“, კრეისერი „პიოტრ ველიკი“ და მათი თანმხლები გემები. აღნიშნულის შესახებ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა, არმიის გენერალმა ვალერი გერასიმოვმა განაცხადა.

„რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო შეუდგა სირიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების დაჯგუფების შემცირებას“, - განაცხადა ვალერი გერასიმოვმა.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 30 დეკემბრის 00:00 საათიდან სირიის სრულ ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი მოქმედებს, რომელიც არ ვრცელდება საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებზე.

ნუ მიჰყიდით იარაღს ერაყელ გასამხედროებულ ჯგუფებს

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია „ამნესტი ინტერნეშნლი“ იტყობინება, რომ გასამხედროებული ჯგუფები, რომლებიც ერაყში ქვეყნის ჯარებთან ერთად ებრძვიან ექსტრემისტების გაერთიანება „ისლამურ სახელმწიფოს“, სასტიკ დანაშაულებს სჩადიან. ორგანიზაცია ამასთან აცხადებს, რომ ისინი იყენებენ იარაღს, რომელსაც ერაყელი სამხედროები იღებენ, სულ ცოტა, 16 ქვეყნისაგან, მათ შორის აშშ-ის, ევროპის სახელმწიფოების, რუსეთისა და ირანისაგან.

ანგარიშში, ნათქვამია, რომ ერაყში უმეტესწილად შიიტების გასამხედროებულმა ჯგუფებმა იარაღი გამოიყენეს, რათა „ხელი შეეწყოთ ათასობით სუნიტი მამაკაცისა და ბიჭის ძალადობრივი გაქრობისა და გატაცებისთვის, მათი წამებისა და გაუსამართლებლად დახოცვისთვის, ისევე როგორც მათი საკუთრების თვითნებურად განადგურებისთვის“. „ამნესტი ინტერნეშნლი“ მოუწოდებს ქვეყნებს, რომლებისგანაც ერაყი იარაღს ყიდულობს, უზრუნველყონ, რომ გასამხედროებულმა ჯგუფებმა იარაღი არ გამოიყენონ ადამიანის უფლებების დასარღვევად. „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, ანგარიში უკვე გამოქვეყნდა.

აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გამშვებ პუნქტებს აუქმებენ...

მოქალაქეთა გადაადგილება იზღუდება

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გამშვები პუნქტების შესაძლო გაუქმებას ეხმაურება და განმარტავს, რომ 2016 წლის განმავლობაში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ მდინარე ენგურის გამშვები პუნქტის გარდა, გამყოფ ხაზზე არსებული სხვა გამშვები პუნქტების გაუქმებას აპირებს. ხუთი გამშვები პუნქტიდან, ერთი — შამგონა-თაგილონის გამშვები პუნქტი 2016 წლის აპრილში გაუქმდა:

29 დეკემბერს გავრცელებული ინფორმაციით კი, ხურჩა-ნაბაკევისა და ორსანტია-ოტობაიას გამშვები პუნქტები გაუქმდება. სანაცვლოდ, დე ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონის მკვიდრთ ენგურის ხიდამდე ავტობუსით მომსახურებას სთავაზობს.

სახალხო დამცველის შეფასებით, ეს არის კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების პატივისცემისა და დაცვის კუთხით. გამშვები პუნქტების დახურვა ზღუდავს გალის რაიონის მკვიდრთა გადაადგილების თავისუფლებას, უქმნის მათ გაუმართლებელ დაბრკოლებებს ჯანდაცვის, განათლების, ვაჭრობის, ოჯახური კავშირების შენარჩუნებისა თუ სხვა მიმართულებით.

გარდა იმისა, რომ გალის ე.წ. ქვედა და ზედა ზონის სოფლები ენგურის ხიდიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა დამატებით პრობლემას შექმნის ხიდამდე მისასვლელად. შესაბამისად, მხოლოდ ენგურის ხიდით სარგებლობის იძულება ნიშნავს მეტი დროისა და ფინანსების ხარჯვას და გალის მოსახლეობის იზოლაციას. ხაზგასასმელია, რომ ენგურის გამშვები პუნქტი გადატვირთულია და მოსახლეობას საათობით რიგში დგომა უწევს გამყოფი ხაზის გადასაკვეთად. სავარაუდოა, რომ სხვა გამშვები პუნქტების გაუქმება კიდევ უფრო გადატვირთავს ენგურის გამშვებ პუნქტს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამშვები პუნქტებით სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები და პაციენტები და მიღებული გადაწყვეტილებით მოხდება მათთვის განათლებისა და ჯანმრთელობის უფლების შელახვა. ასევე, სავარაუდოა, რომ გაიზრდება უკანონო დაკავებებიც, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივები გააგრძელებენ ახლომდებარე პუნქტებით თუ შემოვლითი გზებით სარგებლობას.

ამ პრობლემას ემატება რაიონის შიგნით გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაც. გალის რაიონის სოფლებში, ახლად დამატებულ პოსტებზე, რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეები დეტალურად ამოწმებენ ადგილობრივთა საბუთებს (ფორმა №9 ან აფხაზური პასპორტი), რომლებიც ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადაადგილდებიან. მაგალითისათვის, გალის რაიონის ე.წ. ზედა ზონის სოფლის მაცხოვრებელი სპეციალური საშვის გარეშე ვერ გადაადგილდება გალის ე.წ. ქვედა ზონაში. იგივე წესი ვრცელდება ქვედა ზონის მაცხოვრებლებზეც. რაც შეეხება აფხაზეთის დანარჩენ მოსახლეობას, სპეციალური საშვის გარეშე ისინი ე.წ. სასაზღვრო ზონაში, ანუ გალის რაიონის სოფლებში ვეღარ შევლენ. კონტროლის ასეთი რეჟიმი განსაკუთრებულ პრობლემებს შეუქმნის იმ მოსახლეობას, რომელსაც საბუთები მოწესრიგებული არა აქვს.

სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებში, ასევე საჯარო განცხადებებსა და ქართულ-აფხაზურ შეხვედრებში, მუდმივად აყენებდა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პრობლემას. ომბუდსმენმა არაერთხელ მიმართა მხარეებს შეთანხმდნენ გადაადგილების ისეთ რეჟიმზე, რომელიც არ შელახავს ადამიანის ღირსებასა და უფლებებს. სამწუხაროა, რომ გადაადგილების თავისუფლება არა ჰუმანიტარულ, არამედ პოლიტიზებულ ჭრილში განიხილება.

ზოგადად კი, გალის მოსახლეობის უფლებების შეზღუდვას წლებია, რეგულარული ხასიათი აქვს და ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, ისე რუსეთის ფედერაციას, როგორც აფხაზეთში ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ქვეყანას.

სახალხო დამცველი მიმართავს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილე მხარეებს, გადახედონ თავიანთ პოზიციებს და ნუ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კიდევ უფრო დაამძიმებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობას და უფრო მეტად დაძაბავს ურთიერთობებს.“

გაძვირება ტარიფის შეუცვლელად

თბილისელების დიდი ნაწილი ბუნებრივი აირის ხარჯის გაზრდას უჩივის. როგორც ირკვევა, კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ აბონენტებმა 2016 წლის დეკემბერში ბევრად მეტი გაზი მოიხმარეს, ვიდრე წინა თვესა და 2015 წლის დეკემბერში. კომპანია ამის მიზეზად ტემპერატურის ვარდნას ასახელებს, თუმცა თავად აბონენტები მიიჩნევენ, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ქსელში უშვებს დაბალკალორიულ აირს, რაც იწვევს კიდეც მრიცხველის ჩვენების მნიშვნელოვან მატებას. რატომ გაიზარდა ბუნებრივი აირის მოხმარება თბილისში?

ნინი ოთხწევრიანი ოჯახის დიასახლისია. ცხოვრობს თბილისში, ფანასკერტელის ქუჩაზე. ოჯახი გაზს იყენებს გასათბობად — ჩართული აქვთ „ნიკალა“ და წყლის გამაცხელებელი საჭიროების მიხედვით. ნინიც, ბევრი სხვა თბილისელის მსგავსად, გაოცებული დარჩა, როდესაც „ყაზტრანსგაზიდან“ მიღებულ ქვითარს დახედა:

„ნოემბრის გადასახადი იყო 120 ლარის ფარგლებში. მოხმარება არ გამიზრდია. იმავე რეჟიმში მქონდა ჩართული, არც სადილის მოსამზადებლად დამიხარჯავს მეტი, მაგრამ გადასახადი დეკემბერში მოვიდა 206 ლარი, თითქმის ორჯერ მეტი. არც წინა წლებში შემინიშნავს მსგავსი რამ — ამხელა სხვაობა ნამდვილად არ ყოფილა. იყო მაქსიმუმ 40-ლარიანი სხვაობა, მაგრამ ამხელა, თითქმის 100-პროცენტიანი, არასოდეს ყოფილა“.

ნინის მსგავსად, თითქმის ორჯერ მეტის გადახდა უწევს სხვა ათასობით მომხმარებელსაც. პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, საკითხით დაინტერესდა ენერგოომბუდსმენი სალომე ვარდიაშვილი, რომელმაც 5 იანვარს სპეციალური განცხადება გაავრცელა:

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი გაზის ტარიფი უცვლელია. შესაბამისად, მაღალი გადასახადი არ უკავშირდება ტარიფს. შპს „ყაზტრანსგაზ — თბილისის“ ადმინისტრაციამ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს დაუდასტურა, რომ დეკემბრის თვეში ტექნიკური პრობლემები არ ჰქონია. შესაბამისად, სისტემურ ხარვეზებს ადგილი არა აქვს. აგრეთვე, გამორიცხულია ნებისმიერი შეცდომა აღრიცხვიანობის თვალსაზრისით. კომპანია გაზრდილ გადასახადს უკავშირებს ცივი სეზონის პიკს და, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით დაბალ ტემპერატურასა და ყინვებს“.

რადიო „თავისუფლება“ ტემპერატურის ცვლილების შესახებ გაკეთებული ამ განცხადების გადასამოწმებლად დაუკავშირდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამმართველოს უფროსს სვეტლანა ნიორაძეს, რომლის თქმითაც, 2016 წლის დეკემბერში ტემპერატურის რამე განსაკუთრებული ვარდნა არ ყოფილა.

„თბილისის ტემპერატურა დეკემბერში გამოვიდა ნორმის ფარგლებში. ნორმა თბილისში არის +2 გრადუსი და 2016 წლის დეკემბერშიც იყო +2. 2015 წელს ნოემბრის თვის საშუალო ტემპერატურა იყო +8 გრადუსი, 2016-ში კი +7 გრადუსი. 2015 წლის დეკემბერში საშუალო ტემპერატურა იყო +5 გრადუსი, 2016 წელს კი +2 გრადუსი“, — უთხრა სვეტლანა ნიორაძემ რადიო „თავისუფლებას“.

„აქ არის ერთადერთი პრობლემა — დაბალკალორიული გაზი, რომელსაც აქვს ნაკლები ძალა. მარტივად რომ ავხსნათ, თუკი მაღალკალორიული გაზით ჩაიდნის ადუღებას უნდა ხუთი წუთი, დაბალკალორიულით ეს შეიძლება გაკეთდეს 8 ან 9 წუთში. ეს არის პრობლემა...

გაზის მოხმარების გაზრდას ტემპერატურის დაცემას არ უკავშირებს ენერგეტიკის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი, რომლის ვარაუდით, მრიცხველის ჩვენებათა გაზრდა გამოიწვია მიწოდებული ბუნებრივი აირის დაბალმა თბოუნარიანობამ.

გურამ ჩალაგაშვილის თქმით, „ყაზტრანსგაზი“ ბუნებრივ აირს იღებს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისაგან“, რომელიც ლაბორატორიულად ამოწმებს ბუნებრივი აირის სიმკვრივესა და თბოუნარიანობას. კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, საქართველოში ბუნებრივი გაზის ხარისხი შეესაბამება დადგენილ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, ბუნებრივი გაზის თბოტევადობა არ უნდა იყოს 7 600 კკალ/m^3-ზე ნაკლები, საქართველოში ყოველდღიურად შემოსული და განაწილებული ბუნებრივი გაზი კი არის 8 ათას კკალ/m^3-ზე მეტი.

იმ მოქალაქეებს, რომლებიც ვერ დაეკმაყოფილა გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა და „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენელთა განმარტებებმა და რომლებსაც ეჭვი აქვთ კომპანიის ქმედებებთან დაკავშირებით ანდა რომლებიც არ ეთანხმებიან გადასახადს ან სურთ მრიცხველის შემოწმება, ენერგოომბუდსმენი მოუწოდებს, მიმართონ მის ოფისს, რომელიც მიცკევიჩის 19-ში მდებარეობს. „თითოეული განცხადება შესწავლილი იქნება ინდივიდუალურად. ენერგოომბუდსმენის აპარატი მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად“, — ვკითხულობთ ენერგოომბუდსმენის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

მარტო საქართველოში რატომ იყინება ბუნებრივი აირი?

ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ ბუნებრივ აირზე მეტი გადასახადის გადახდა ზამთრის ცივ დღეებს უკავშირდება და ქვითრებში ასახულ გაორმაგებულ გადასახადებს სხვა მიზეზები არა აქვს. კახი კალაძის თქმით, ბუნებრივი აირის მოხმარება არის გაზრდილი. კალაძემ გუშინ „ყაზტრანსგაზისა“ და გაზის ტრანსპორტირების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და არსებულ მდგომარეობაზე ანგარიში მოისმინა.



ეს საოცარი ოჯახური ცხოვრება

სტატისტიკურ მონაცემებს თუ ვენდობით, დაოჯახებულ ადამიანებში, მარტოხელებთან შედარებით, უდროო სიკვდილის ალბათობა 15 პროცენტით უფრო მცირეა.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ცოლიანი მამაკაცები ბერბიჭებზე გაცილებით ნაკლებად ეტანებიან ალკოჰოლიან სასმელებს, გათხოვილი ქალები კი, პირიქით, გაუთხოვრებზე და დაქვრივებულებზე მეტს სვამენ. თანაც, დაოჯახებული ხალხი, მარტოხელებთან შედარებით, ოთხჯერ უფრო მეტ სახსრებს აგროვებენ, თუმცა კი განქორწინებულებს, იმავე დაუოჯახებლებთან შედარებით, 77 პროცენტით ნაკლები ქონება აქვთ.

შეუღლებულ წყვილთა უმრავლესობა ცოლ-ქმრობის ყველაზე ბედნიერ დროდ ქორწინების მესამე წელს მიიჩნევს. ფსიქოლოგები კი იმასაც აღნიშნავენ, რომ ქორწინება ამცირებს განგაშის მდგომარეობასა და დეპრესიებს. საშუალო სტატისტიკურ წყვილს სექსი წელიწადში, საშუალოდ, 68,5-ჯერ, ანუ კვირაში ერთზე მეტჯერ აქვს. თანამედროვე ოჯახი ერთად კვირაში 8 საათზე მეტს ატარებს. მამაკაცთა მხოლოდ 3 პროცენტია მზად, იქორწინოს თავის საყვარელზე. ცოლიანი მამაკაცები ბერბიჭებზე სწრაფად სუქდებიან, უახლოესი 30 წელი კი ქორწინების თანამედროვე ინსტიტუტისთვის კრიტიკული იქნება.

ლიდერობის პოზიციებიდან

დედამიწაზე ყოველ 100 გოგონაზე 107 ბიჭი იბადება, აცხადებენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, დაბადებისას ბიჭების წონა (3200-3500 გრამი) ოდნავ მეტია გოგონების წონაზე (3000-32500 გრამი). თანაც, საინტერესოა ისიც, რომ აგრესიული მოქცევა ბიჭებში 3-4-ჯერ უფრო ხშირად აღინიშნება. არადა, სტატისტიკა მოწმობს, რომ ჩვილ ბიჭუნებში სიკვდილიანობის რისკი, ჩვილ გოგონებთან შედარებით, 25 პროცენტით მეტია.

გარდა ამისა, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ, გოგონებთან შედარებით, ცაციების რიცხვი ბიჭებში სამჯერ მეტია. სკოლაში წასვლის დროისთვის სწავლისთვის მზად არის მხოლოდ ბიჭების ნახევარი, გოგონებში კი ეს მაჩვენებელი ორი მესამედია. თანაც ბიჭებისა და გოგონების ხასიათები ერთმანეთის თერთმეტი ნიშნით განსხვავდება: ბიჭები უფრო რისკიანები არიან, თანაც საძიებო სამუშაო ურჩევნიათ და არა უკვე ცნობილი დავალების საგულდაგულო შესრულება, მეტად აქვთ ლიდერობის პრეტენზიები და სხვის აზრზეც ნაკლებად არიან დამოკიდებულნი.

ამასთან, თამბაქოს მოწევას ცდილობს ყოველი მეორე მოზარდი ბიჭუნა და ყოველი მეოთხე გოგონა. ახალგაზრდა მამაკაცთა 50 პროცენტი ცოლს ირთავს 25-30 წლის ასაკის მიღწევამდე, თუმცა კი მათი უმრავლესობა ამის გაკეთებას მოგვიანებით გეგმავდა. სამუშაო ადგილზე დაღუპულთა 94 პროცენტი მამაკაცია.

სტატისტიკა მოწმობს, რომ ვაჟიშვილებისგან უფრო მეტი შვილიშვილის მიღება შეიძლება, ვიდრე ქალიშვილებისგან, მსოფლიოში ყველაზე მეტი ვაჟი კი — 94 — ციონ ჰანს ჰყავს. 22 ნოემბერი ვაჟიშვილების დღეა.

„გულადი“ ვაშლის ძმარი

ვაშლის ძმრის მოხმარება სისხლში ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს.

ასტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა წონის დაგდების ხალხური საშუალება მოხალისეებზე შეამოწმეს. დაკვირვებათა ორი თვის მანძილზე აღმოჩნდა, რომ, მართალია, ძმარი წონაზე არ მოქმედებს, მაგრამ სისხლში ქოლესტერინის შემცველობას საშუალოდ 13 პროცენტით ამცირებს და სასარგებლოა ინფარქტების პროფილაქტიკისთვის.

აბა, ძილის დროა!

გამოსაძინებლად ყველაზე კარგი დროა სამშაბათიდან ოთხშაბათის ღამე, აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები.

მათ ხუთი ათასი მოხალისის მონაწილეობით ექსპერიმენტი ჩაატარეს, რა დროსაც გამოსაცდელთა ძილის ხარისხს აკონტროლებდნენ. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი ხანი მოხალისეებს უქმე დღეებში ეძინათ, მაგრამ სამშაბათიდან ოთხშაბათზე ღამე ძილი ყველაზე ხარისხიანი იყო — ადამიანები უფრო სწრაფად იძინებდნენ, იშვიათად იღვიძებდნენ, ცუდ სიზმრებს ნაკლებად ხედავდნენ, გამოძინებულები კი თავს მხნედ გრძნობდნენ.

მეცნიერთა აზრით, სამშაბათისთვის ადამიანები ასწრებენ უქმე დღეების შემდეგ დღის რეჟიმის აღდგენას, ნაკლებ ალკოჰოლსა და ცხიმიან საკვებს იღებენ, დასაძინებლადაც დროზე წვებიან. ეს შეზღუდვები კი ხარისხიანი ძილის საწინდარია.

საკვები უმარილოდ მიირთვით

ჰიპერტონიისგან თავის დასაცავად საკმარისი ყოფილა ჭარბი წონის დაგდება.

მაიოს კლინიკის სპეციალისტების მონაცემებით, 4,5 კილოგრამით გახდომას წნევის მონაცემთა დაწევა შეუძლია. კიდევ ერთი ხერხია მარილის მოხმარების შემცირება. ხოლო თუკი უმარილო საკვები უგემური გეჩვენებათ, რაციონში კალიუმის მაღალი შემცველობის მქონე სურსათი დაამატეთ, რომელიც სისხლის წნევაზე მარილის ზეგავლენას ამცირებს.

ხაჭოც, ყველიც, არაქანიც...

რძე — ესაა მდედრ ძუძუმწოვართა სარძევე ჯირკვლების მიერ გამომუშავებული საკვები სითხე. მისი ბუნებრივი დანიშნულებაა ნაშიერის გამოკვება, რომელსაც სხვა საჭმლის მონელება ჯერ არ შეუძლია.

თავდაპირველად ადამიანმა ცხოველთა (უწინარესად, თხის) რძის მოხმარება ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათი ათასი წლის წინათ დაიწყო. რძის შემადგენლობაში 50-ზე მეტი მაკრო და მიკროელემენტი შედის. ჩვეულებრივი სოფლის ძროხის რძის საშუალო ცხიმიანობა 3,2-5 პროცენტია, ხოლო, მედიკოსთა რეკომენდაციით ადამიანმა წელიწადში (რძეზე გადაანგარიშებით) 392 კილოგრამი რძის პროდუქტი უნდა მიიღოს. რძის ყოველდღიური მოხმარება მსხვილი ნაწლავის კიბოსა და არტერიული წნევის მომატებისგან დაგიცავთ.

ყველაზე ცხიმიანი რძე (50 პროცენტზე მეტი) სელაპებს და ვეშაპებს აქვთ, ყველაზე „სამარხვო“ კარაქის საწარმოებლად საჭიროა 21 ლიტრი რძე, ერთი კილოგრამი ყველისა კი — 10 კილოგრამი.

თანასწორობა, რომელიც არავის სჭირდება

ქალები და მამაკაცები ალკოჰოლის მოხმარებაში გათანასწორდნენ, აცხადებენ ავსტრალიელი ექიმები.

1891-1910 წლებში, მამაკაცები ქალებზე ორჯერ უფრო ხშირად სვამდნენ, ამასთან ალკოჰოლთან პრობლემები მათ სამჯერ უფრო ხშირად წარმოეშვებოდათ. ბევრის სმა ქალებმა 1950-იან წლებში დაიწყეს და 1990-იანი წლისთვის მამაკაცებს დაეწივნენ.

ფაქტორებს შორის, რომლებმაც მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მიერ ალკოჰოლის მოხმარების ზრდაზე იმოქმედა, მკვლევარები ასახელებენ ალკოჰოლიანი სასმელების გაიაფებას, ასევე იმ გარემოებას, რომ ამჟამად ქალები სულ უფრო ხშირად იკავებენ თანამდებობებს, რომლებიც უწინ, ძირითადად „მამაკაცურებად“ იყო მიჩნეული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული „საოფისე კულტურა“, ანუ მძიმე სამუშაო დღის შემდეგ თითო ჭიქა ალკოჰოლის მიღების წესი, მათზეც გავრცელდა. ხელმძღვანელი ქალები, საშუალოდ, სუსტი სქესის წარმომადგენლებზე უფრო მეტს სვამენ და ალკოჰოლს სამუშაო დღეებშიც უფრო ხშირად მოიხმარენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მარკეტოლოგების წარმატებული მუშაობა, რომლებიც საგანგებოდ ქალებისთვის შექმნილ ახალ ალკოჰოლიან სასმელებს სთავაზობენ.

არადა მეცნიერები გვაფრთხილებენ: ქალის ორგანიზმი ალკოჰოლს მამაკაცისაზე გაცილებით ცუდად იტანს. ქალის ორგანიზმში წყალი ნაკლებია, ქალის ღვიძლიც მამაკაცისაზე პატარაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მეტი დატვირთვა აწვება.

ტანკენარობის საიდუმლოებანი

ჭარბ წონას ბევრი ხალხი უჩივის, ადამიანები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ გასახდომად, თუმცა ზოგის მცდელობა წარმატებულია, ზოგისაც — არა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ არსებობს ტანკენარობის რამდენიმე უნივერსალური ხერხი, რომელთა მიყოლამ, ეგებ, თქვენთვის სასურველი შედეგი გამოიღოს.

ამდენად, წონაში დასაკლებად საჭიროა:

- კვების რაციონის კალორიულობის შემცირება, საკვებთან ერთად მიღებული ენერგიის დეფიციტის შექმნა (საამისოდ საჭიროა თითოეული მდგენელის ენერგეტიკული ფასის ცოდნა);
- დანაწევრებულად კვება — კაცმა დღეში არანაკლებ ოთხჯერ, ზოგიერთი დაავადების დროს კი 5-6-ჯერ უნდა ჭამოს საჭმელი;
- ნუ იშიმშილებთ, რადგან ეს მიმოცვლით პროცესებს ანელებს და შემდგომში წონის აკრეფას პროვოცირებს.
- მიირთვით ნატურალური, ხარისხიანი საკვები, რომელსაც მაღალი კვებითი ღირებულება აქვს, რითაც მინიმალური მოცულობით მაქსიმალურ სარგებელს მიიღებთ;
- თავი აარიდეთ აკრძალვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში „აკრძალული ხილის“ ნევროტიკული მოთხოვნა გაგიჩნდებათ. თქვენი მთავარი მიზანია გახდომის პროცესისადმი ნეგატიური დამოკიდებულებისთვის თავის არიდება. ამიტომაც შიგადაშიგ საკუთარი თავისთვის გარკვეული „შეღავათის გაწევას“. (ვთქვათ, ნამცხვრის, ნაყინის მიღების სახით), სურვილის წარმოშობის შემთხვევაში, ნუ მოერიდებით;
- დღეში დალიეთ 1,5-2 ლიტრი წყალი, რაც შეიძლება მეტი (არანაკლებ 10 ათასი ნაბიჯისა) იარეთ და 7-8 საათი დაიძინეთ.

რატომ იკვნეტენ ფრჩხილებს?

ფრჩხილების კვნეტა მავნე ჩვევაა, რომელიც, სამწუხაროდ, ბავშვების გარდა ბევრ ზრდასრულ ადამიანსაც ახასიათებს.

პატარებს მთავარი ცხოვრებისეული რეფლექსი წოვას უკავშირდება. როცა ბავშვი ძუძუს წოვს, იგი არა მარტო ნაყრდება, არამედ მშვიდდება კიდეც. ზოგერთი კი, მხოლოდ მაშინ მშვიდდება, როცა პირში რაღაც აქვს და ეს ჩვევა მთელი ცხოვრების მანძილზე მიყვება. შეიძლება ამის გამო ვუსაყვედუროთ მშობლებს, აღმზრდელებს, რომლებიც არ აქცევდნენ ყურადღებას, რომ ბავშვი გამუდმებით თითებს იდებს პირში... მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ადამიანები ფრჩხილებს იკვნეტენ იმის გამო, რომ რაღაცა აწუხებთ. ესაა მღელვარების დამამშვიდებელი ქვეცნობიერი რეაქცია.

მზის შუქის მადლი

ხელოვნური შუქი ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, გვაფრთხილებენ ნიდერლანდელი მეცნიერები.

სპეციალისტები ხელოვნური განათებისთვის თავის მორიდებას გვირჩევენ, რადგან ის „გვირევს“ შინაგან საათს, თანაც სხვადასხვა ანთებისა და ოსთეოპოროზით დაავადების საფრთხის შემცველია.

◎ გიხაროდენ!

თბილისის საერთაშორისო ტურნირი დაბრუნდა!

სასიამოვნო სიახლე: აღდგა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება UWW-ს ეგიდით 10-12 ივნისს თბილისში გაიმართება.

გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი 2011 წლის შემდეგ არ ჩატარებულა, თუმცა, ფედერაციამ ყველაფერი იღონა, რომ საქართველოს ისევ მიეღო საქვეყნოდ ცნობილი ტურნირის მასპინძლობის უფლება, რომელიც თბილისის საერთაშორისო გრან-პრის სტატუსით ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში უფროსებს შორის გაიმართება.

თბილისის გრან-პრი მსოფლიო ფედერაციის კალენდარში მესამე შეჯიბრებაა, რომელიც საქართველოში მოეწყობა.

პირველი 6-7 მაისს ბათუმში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონის და ოლიმპიური პრიზიორის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირია, რომელიც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის გაიმართება.

ერთი თვის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის თემო ყაზარაშვილის სახელობის ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ამჯერად ჭაბუკებში, 5-7 ივნისს რუსთავი უმასპინძლებს.

თბილისის საერთაშორისო ტურნირს FILA-ს გადაწყვეტილებით 1962 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც ისე გაითქვა სახელი, რომ არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად მოიხსენიებდნენ. თითქმის 30 წლის განმავლობაში თბილისის ტურნირზე საჭიდაოდ ჩამოდიოდნენ პლანეტის უძლიერესი ფალავნები, აქ გამარჯვება კი მეტად საპატიოდ ითვლებოდა. სწორედ ამ ტურნირზე აიდგა ფეხი ლეგენდარულმა ლევან თედიაშვილმა, რომელიც შემდგომ XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ფალავნად აღიარეს. თბილისის ტურნირზე გაუმარჯვიათ აგრეთვე ისეთ სახელოვან ფალავნებს, როგორებიც არიან ნოდარ ხოხაშვილი, ვლადიმერ რუბაშვილი, ტარიელ ალიბეგაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, შოთა ლომიძე, ნოდარ მოდებაძე, გურამ საღარაძე, გოგი მაკასარაშვილი, ლევან თედიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში იგი ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირის სახელით იმართებოდა.

გეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

ზაზა ფაჩულია მეორე ადგილზეა!

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი და „გოლდენ სტეიტის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩის საშუალედო შედეგების თანახმად 439, 675 ხმით დასავლეთ კონფერენციის წინახაზელთა შორის მეორე ადგილზე იმყოფება. აღნიშნული მონაცემები NBA-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

ზაზა პირველადგილოსან და თანაგუნდელ კევინ დიურანტს (541 209) ჩამორჩება და მესამეადგილოსან „სან ანტონიოს“ კალათბურთელ კავაი ლეონარდს (341, 240), რომელსაც წინა წელს ჩამორჩა, თითქმის 100 000 ხმით უსწრებს.

დასავლეთ კონფერენციის მცველებს შორის ლიდერი ასევე „გოლდენ სტეიტის“ კიდევ ერთი ვარსკვლავი სტეფ კარია (523,597), მეორე პოზიციაზე კი „ჰიუსტონის“ მოთამაშე ჯეიმს ჰარდენია (519,446).

აღმოსავლეთ კონფერენციის ფორვარდებში პირველ ადგილზე „კლივლენდის“ კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსია (595,288), მეორე პოზიციას კი „მილუოკის“ მოთამაშე იანის ადეტოკუმბო (500,663) იკავებს. მათ საგრძნობლად ჩამორჩება მესამეადგილოსანი კევინ ლავი („კლივლენდი“, 250,347). უკანახაზელებს შორის ლიდერი ჯეიმსის თანაგუნდელი კაირი ირვინგია (543,030), რომელიც დიდი უპირატესობით უსწრებს დუეინ უეიდს („ჩიკაგო“, 278,052).

წელს ოლ სტარზე კალათბურთელთა არჩევის ახალი წესი ამოქმედდა: კალათბურთელთა 50%-ს გულშემატკივრები ირჩევენ, ხოლო 25-25%-ს — ჟურნალისტები და თავად მოთამაშეები.

როგორც გვახსოვს, შარშან ზაზას ოლ სტარზე მოსახვედრად ძალიან ცოტა დააკლდა და რომ არა ბევრი არაზუსტად მიცემული ხმა, ფაჩულიას ყველა ვარსკვლავის მატჩში ნამდვილად ვიხილავდით.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

მარეი ნახევარფინალშია

მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა, ბრიტანელმა ენდი მარეიმ დოჰას ტურნირის მეოთხედფინალში ესპანელი ნიკოლას ალმაგრო 7:6, 7:5 დაამარცხა და ზედიზედ 26-ე შეხვედრა მოიგო. ბრძოლა 2 საათსა და 11 წუთს გაგრძელდა. პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე ენდიმ 7:4 მოიგო, მეორე სეტში კი 5:5-ზე გადამწყვეტი ბრეიკი შეასრულა, რომელმაც მატჩის ბედი განსაზღვრა.

ნახევარფინალში ენდი მარეი ტომაშ ბერდიხს შეხვდება.

ბადრი იაშვილი

◎ რაგბი

2-ათასიანი დენ ბიგარი

უელსის ნაკრებისა და „ოსპრეიზის“ მგეზავმა დენ ბიგარმა ახალი სიმაღლე დაიპყრო — კლუბის მაისურით დაგროვილი ქულებით 2-ათასიანი ზღვარი გადალახა.



27 წლის ბიგარს „ოსპრეიზის“ გარდა არცერთ სხვა კლუბში არ უთამაშია. პირველ გუნდში ის 2007 წელს გამოჩნდა, ხოლო 2-ათასიანი ზღვარი 2016 წლის 27 დეკემბერს, პრო 12-ის მე-11 ტურში „სკარლეტსთან“ 19:9 მოგებულ შეხვედრაში გადალახა, როდესაც გუნდს 14 ქულით შეეწია, პირველ იანვარს კი მან „ნიუპორტს“ (10:0) ჯარიმა და გარდასახვა გაუტანა და 9-წლიან ჯამში 2006 ქულა მოაგროვა.

ასაკიდან გამომდინარე, ბიგარს კიდევ უფრო მეტის მიღწევა შეუძლია, ხოლო მის საკლუბო რეკორდს დიდი ხნის განმავლობაში არაფერი ემუქრება. კლუბების ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე ჯეიმს ჰუკია, რომლის ანგარიშზე 796 ქულაა.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ეს სეზონის გუნდია

უეფამ გულშემატკივრების მიერ არჩეული წლის საუკეთესო გუნდი დაასახელა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა 7.8 მილიონამდე ადამიანმა მიიღო. ყველაზე მეტი გულშემატკივარი მადრიდის „რეალის“ მცველ სერხიო რამოსს ჰყავდა, რომელსაც მხარი 488 908 ადამიანმა დაუჭირა.

2016 წლის უეფას საუკეთესო გუნდი შემდეგნაირად გამოიყურება:

მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“, იტალია);

მცველები: ჟერომ ბოატენგი („ბაიერნი“, გერმანია), ჟერარ პიკე („ბარსელონა“, ესპანეთი), სერხიო რამოსი („რეალი“, ესპანეთი), ლეონარდო ბონუჩი („იუვენტუსი“, იტალია);

ნახევარმცველები: ტონი კროოსი („რეალი“, გერმანია), ლუკა მოდრიჩი („რეალი“, ხორვატეთი), ანდრეს ინიესტა („ბარსელონა“, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი („ბარსელონა“, არგენტინა), ანტუან გრიზმანი („ატლეტიკო“, საფრანგეთი), კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“, პორტუგალია).

გიორგი ზოთაძე

უცნაური საახალწლო ტრადიციები

ახალი წლის დახვედრას რომ მთელ წელიწადზე ექნება ზეგავლენა, ბევრ ქვეყანაში სჯერათ და ყველა თავისებური ენთუზიაზმით ცდილობს, ყველაფერი საუკეთესო დაიბედოს. ამისათვის კი, ზოგიერთ ქვეყანაში ძალიან უცნაურ რიტუალებს ასრულებენ.

მაგალითად, კოლუმბიელები ცარიელ ჩემოდნებს დაათრევენ ქალაქში და სჯერათ, რომ ამ წელს ბევრს იმოგზაურებენ.

• **სამხრეთ აფრიკელები** ახალ წელს ძველ ელექტრომოწყობილობებს პირდაპირ ფანჯრიდან ყრიან.

• **დანიაში** ძველი ჭურჭლის გაჩანაგებით იწყებენ წელს. ჭიქებს, თეფშებს მეგობრებისა და ნათესავების სახლებს ესვრიან. გარდა ამასა, ზუსტად 12 საათზე სკამებზე დგებიან და ხტებიან. მათ სჯერათ, რომ ეს ნახტომი ახალ წელში ნახტომია. ისინი ავ სულებს აფრთხობენ და იღბალს იზიდავენ.

• **ესპანელები** შუაღამისას წამზომიან საათთან სხდებიან და 12 მარცვალ ყურძენს ჭამენ, თითო მარცვალს წამში. ეს მარცვლები მომავალი წლის იღბლიანი თვეების სიმბოლოა. მადრიდში, ბარსელონასა და სხვა ესპანურ ქალაქებში, ხალხი საგანგებოდ იკრიბება ცენტრალურ მოედნებზე, რათა ეს ყურძნის ყლაპვის ცერემონიალი ერთად ჩაატაროს.

• **ფინური** ტრადიციის მიხედვით, წყალში ჩასხმულ გამდნარ კალას, მომავალი წლის წინასწარმეტყველება შეუძლია, იმის მიხედვით, თუ რა ფორმას მიიღებს მეტალი გამაგრების შემდეგ. გულის ფორმა ქორწინების მომასწავებელია, გემის ფორმა მოგზაურობას ნიშნავს, ღორი კიდევ ბევრ საკვებს გვპირდება.

• **პანამელები** კოცონში წვავენ ცნობილი ადამიანების სურათებს, პოლიტიკური ფიგურებიდან დაწყებული სატელევიზიო შოუების პერსონაჟებით დამთავრებული. მათ სჯერათ, რომ ეს ფოტოები ძველ წელს წარმოადგენს, მათი მსხვერპლად შეწირვა კი ავ სულებს განდევნის და ცინცხალი ახალი წლის დასაწყისის სიმბოლო გახდება.

• **შოტლანდიელები** ჩვენსავით „კარგი ფეხის“ იმედად არიან. ადამიანმა, ვინც პირველი გადმოკვეთს სახლის ზღურბლს, საჩუქარი უნდა მოიტანოს (ყველაზე მიღებულია ვისკი). საკმაოდ გავრცელებულია კოცონის დანთების ცერემონიალიც, რომელიც ძალიან განსაკუთრებულ ფორმას იღებს სტოუნჰეივენში. ადგილობრივები თავზემოთ ცეცხლმოკიდებული ჩირაღდნების ტრიალით აღლუმს აწყობენ. ცეცხლის ბურთები მზის სიმბოლოდ მიიჩნევა და მომავალ წელს წმენდს.

• **ფილიპინელებში** მრგვალი ფორმები (მონეტის ფორმა) კეთილდღეობის სიმბოლოს წარმოადგენს და ამიტომ ოჯახებში საახალწლო სუფრას მრგვალ-მრგვალი ხილის უზარმაზარი ასორტიმენტი ამშვენებს. ბევრი მათგანი კიდევ უფრო წვრილმანდება და ზუსტად შუაღამეზე ზუსტად 12 ხილს მიირთმევს. სხვები კიდევ კოპლებიან ტანსაცმელში ეწყობიან.

• **ბელარუსიში** დაუქორწინებელი ქალები მომავალი წლის პატარძლის გამოსაცნობად სხვადასხვა თამაშს თამაშობენ. ერთ-ერთი ასეთი თამაშის მიხედვით, ყველა ქალს წინ უყრიან სიმინდის მარცვლებს და რომელ მათგანთანაც მამალი პირველი მივა, ამბობენ, რომ ის ქალი პირველი გათხოვდება. მეორე თამაშში — უკვე დაქორწინებული ქალი სახლში სხვადასხვა ნივთებს მალავს და მერე დაუქორწინებელი ქალები ამ ნივთებს ეძებენ. იმას, ვინც პურს იპოვის მდიდარი ქმარი ეყოლება, ვინც ბეჭედს — სიმპატიური და ა.შ.

• **ესტონელებს** ადრე ასეთი ტრადიცია ჰქონდათ: ახალი წლის დღეს 7-ჯერ უნდა ეჭამათ, რათა ამ წელს გარანტირებული ჰქონოდათ საკვები. მათ სჯეროდათ, რომ თუკი მამაკაცი 7-ჯერ შეჭამდა 7 ადამიანის ძალა ექნებოდა. თანამედროვე ესტონეთში, განსაკუთრებით კი ტალინში, საჭმელს ალკოჰოლიც დაემატა.

• **ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში**: ბრაზილიაში, ბოლივიასა და ვენესუელაში საახალწლოდ განსაკუთრებულ საცვლებში ეწყობიან. მაღაზიები სხვადასხვა ფერის საცვლებით ივსება. ყველაზე პოპულარული წითელი და ყვითელი ფერებია, რადგან ისინი სიყვარულისა და ფულის სიმბოლოდ მიიჩნევა.

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრი, ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე

ანზორ გვარამია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გეგიების საგვარეულო დიდი მწუხარებით იუწყება მისი გამორჩეული წევრის, თვალსაჩინო მამულიშვილისა და მოქალაქის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის

ჰამლეტ გეგიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ახლობლებსა და მეგობრებს.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, შესანიშნავი შემოქმედი და პიროვნება

ჰამლეტ გეგია

ოჯახის წევრებზე მოძალადე დამნაშავედ ცნეს

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრების მიმართ არაერთგზის ძალადობის ჩადენისთვის, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი თამაზ ჭიტაძე დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 1261 -ე მუხლის II ნაწილის „ა“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 12 სექტემბერს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თამაზ ჭიტაძემ ადიგენის რაიონის სოფელ პატარა სმადაში, მისსავე საცხოვრებელ ბინაში დედას ც.ჭ.-ს და არასრულწლოვან შვილს ნ.ჭ.-ს სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფა მიაყენა, რამაც ამ უკანასკნელთა დამცირება და ტანჯვა გამოიწვია.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ასევე დადასტურდა, რომ თამაზ ჭიტაძე სხვადასხვა დროს, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი დედას და შვილს სისტემატიურად აყენებდა შეურაცხყოფას, ემუქრებოდა და ამცირებდა.

თამაზ ჭიტაძეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის II ნაწილის „ა“ „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო 5000 ლარის ოდენობით შეეფარდა.

აღსანიშნავია, რომ თამაზ ჭიტაძე დედისა და არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის რამდენჯერმეა ნასამართლევი. 2014 წლის 2 ივლისს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო და სასჯელის სახით შეუფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 120 საათი. ვინაიდან, იგი თავს არიდებდა სასჯელის მოხდას, სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე შეეცვალა ჯარიმით 1125 ლარის ოდენობით. ასევე, თამაზ ჭიტაძე 2015 წლის 27 თებერვლის სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი და სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით და ჯარიმა 1125 ლარი განესაზღვრა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ თამაზ ჭიტაძე სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით განუსაზღვრა. ვინაიდან თამაზ ჭიტაძეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს მიერ 2015 წლის 27 თებერვლის განაჩენით განსაზღვრული სასჯელი - ჯარიმა 1125 ლარის ოდენობით მოუხდელი ჰქონდა, იგი მიემატა 2016 წლის 12 სექტემბერს ჩადენილი დანაშაულისთვის დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად, განაჩენთა ერთობლიობით, თამაზ ჭიტაძეს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და ექვსი თვის ვადით და ჯარიმა 1125 ლარის ოდენობით განესაზღვრა.

თამაზ ჭიტაძე პატიმრობაში სასამართლო დარბაზიდან იქნა აყვანილი.

ბათუმში „იალჩინელებს“ მძარცველები შეეჩვივნენ

ხუთშაბათს გვიან ღამით, სუპერმარკეტების ქსელის „იალჩინის“ ბულალტერს თავს დაესხნენ. წინასწარი ცნობით, შემთხვევა „იალჩინის“ კუთვნილ სასაწყობე ფართთან ახლოს, ადლიის დასახლებაში მოხდა. საწყობიდან გამოსული ბულალტრის ავტომანქანა შეაჩერეს და შეიარაღებულმა პირებმა ფული გაიტაცეს. გავრცელებული ინფორმაციით თავდამსხმელებმა 150 ათასი ლარი გაიტაცეს.

შეგახსენებთ, 31 დეკემბერს „იალჩინში“ მდებარე სავალუტო ჯიხური სანტას ფორმაში გადაცმულმა მძარცველმა დააყაჩაღა და გაიტაცა 60 ათასამდე ლარი. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

დაადგინეს გარდაცვალების ზუსტი დრო

ადამიანის სიკვდილის დრო განსაზღვრეს ავსტრიელმა მეცნიერებმა, ღორის ქსოვილებზე ექსპერიმენტების ჩატარებით მეცნიერები ირწმუნებიან, რომ თანამედროვე ტექნოლოგია გარდაცვალების ზუსტი დროის დადგენის საშუალებას იძლევა.

კვლევაში მონაწილე დოქტორი პარკინსონის მეთოდები, ღორის ორგანიზმის გახრწნის პროცესში ბაქტერიული ცვლილებების, მოლეკულური ბიოლოგიისა და ქიმიური ზემოქმედების შესწავლას ეყრდნობა. მუშაობის პროცესში იგი ადამიანის სხეულში მიმდინარე მსგავს პროცესებს აკვირდებოდა.

„კვლევამ აჩვენა, რომ სხეულის ბაქტერიებთან ერთად გარემოში არსებული ბაქტერიებიც დიდ როლს თამაშობენ. გარდაცვლილი ადამიანისა და ღორის სხეულში არსებული ბაქტერიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და მსგავს ფუნქციებს ასრულებენ. ღორის სხეული შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მოდელი და მასზე დაკვირვებით ადამიანის გარდაცვალების დროის საკმაოდ ზუსტი მიღება არის შესაძლებელი. ამ კვლევას შორს მიმავალი გეგმები აქვს.“ — განაცხადა დოქტორმა პარკინსონმა.

ამ დროისათვის მეცნიერთა ჯგუფი ადამიანის სხეულის ინდექსის, ტემპერატურისა და ტენიანობის სისტემატიზაციაზე მუშაობს. ტექნიკის გაუმჯობესების შემთხვევაში კი შესაძლებელია მისი კრიმინალისტიკაში გამოყენება.

ბათუმში მწვავე პნევმონიით ორი პაციენტი გარდაიცვალა

ბათუმში მწვავე პნევმონიით ორი პაციენტი გარდაიცვალა, რომლებსაც როგორც აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში აცხადებენ, სხვა ქრონიკული დაავადებაც აღენიშნებოდა.

„დაფიქსირდა SARI-თ გარდაცვალების ორი შემთხვევა, რაც მძიმე და მწვავე რესპირაციული პროცესია, რომელშიც ჰოსპიტალიზაციის საჭიროება შედის. ამ შემთხვევაში ორივე პაციენტს ჰქონდა სხვა ქრონიკული დაავადებებიც, რომელიც ვირუსული დაავადებით გართულდა“, — განაცხადა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ნიჟარაძემ.

კაცი, რომელმაც კაზინო დაამარცხა

საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმაა: „იმისათვის, რომ კაზინოში მოიგო, კაზინოს მეპატრონე უნდა იყო“.

ეს მითი მე-19 საუკუნეში ბრიტანელმა ჯოზეფ ჯაგერმა დაამსხვრია.

ჯაგერი 1830 წელს დაიბადა. ის ცნობილი როკ-მუსიკოსის მიკ ჯაგერის შორეული წინაპარი იყო. ცნობილია, რომ ჯოზეფი იორკშირის საგრაფოში ქაღალდის ფაბრიკაში ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა. მისი მეორე სერიოზული გატაცება კი კაზინო იყო. სწორედ თავისი პროფესია დაეხმარა ჯაგერს კაზინოს დამარცხებაში.

ფაბრიკაში შეძენილი გამოცდილებით, ჯოზეფმა დაასკვნა, რომ რულეტკის ბორბლები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. კონსტრუქციას სხვადასხვა დეფექტები ჰქონდა. ტექნიკური არასრულყოფილების გამო ბურთი ხშირად ერთი და იგივე ნომრებში ვარდებოდა.

ჯაგერმა 6 ადამიანი დაიქირავა, რომლებიც მონტე-კარლოს კაზინოში სხვადასხვა მაგიდასთან დასვა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ისინი მომგებიან ნომრებს იწერდნენ. გაირკვა, რომ ბურთი ყველაზე ხშირად 7, 8, 9, 17, 18, 19, 22, 28 და 29 ნომრებში ვარდებოდა.

ამის შემდეგ ჯაგერი კაზინოს თავად ესტუმრა. 4 დღეში მან 300 ათასამდე დოლარი მოიგო.

ჯაგერის იღბლიანი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სხვა მოთამაშეებს და იმავე ციფრებზე დაიწყეს ფსონების დადება. კაზინოს ადმინისტრაცია იძულებული გახდა რულეტკის ბორბლები შეეცვალა.

მე-5 დღეს კაზინოში შესულმა ჯაგერმა წაგება დაიწყო და მიხვდა, რომ ბორბლები გამოცვლილი იყო. ჯოზეფმა ადგილი შეიცვალა და იმ მაგიდას მიაგნო, სადაც კაზინოს მეპატრონეებმა ბორბლის შეცვლა ვერ მოასწრეს. მე-5 დღეს მან მოგება 450 ათასამდე გაზარდა.

კაზინოს მეპატრონეებმა გამოსავალი მალე იპოვეს და სანომრე უჯრედებს დეკორატიულ ნაწიბურებს ყოველ ღამე უცვლიდნენ. ამჯერად ჯოზეფმა მათ ხრიკებს ვერაფერი მოუხერხა და მიხვდა, რომ თამაში უნდა შეეწყვიტა. კაზინოდან მან ჯამში 325 ათასი დოლარი წამოიღო.

◎ ინტერნეტიდან

რონალდუზე ნადირობა დაიწყო

არა ერთმა, არამედ რამდენიმე ესპანურმა ბულვარულმა გამოცემამ მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი სუპერმეგოლე, კრიშტიანუ რონალდუ 2017 წლის ყველაზე სასურველ სასიძოდ დაასახელა და ესპანელი და არამხოლოდ ესპანელი ლამაზმანებისათვის რონალდუზე ნადირობის სეზონიც გამოაცხადა.

ვის ვის და ქალბატონებს ნამდვილად არ სჭირდებოდათ საამისო წაქეზება, რადგან პორტუგალიელ ფეხბურთელს ისედაც მასზე უგონოდ შეყვარებულ ქალთა დიდი კოჰორტა დასდევს და აწუხებს და ახლა, როდესაც გზა ხსნილია, ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაიმალება ბუჩქებში დიადი მეგოლე ქალთა ჯგროს დანახვისას.

ჩვენი გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ერთობ საამო მოსასმენი და დასანახია, როდესაც ტალიკ-ტალიკი ასულები შენზე აფრენენ და ტრფობით იხრუკებიან, მაგრამ საკმარისია თავი რონალდუს ადგილას წარმოვიდგინოთ, რომ მივხვდებით, ამ ცნობადობისა და ტრფიალების უკან რამდენი წვალება და ვაგლახიც იმალება...

როსტომ რაჭველიშვილი

პური ჩვენი... ჯანმრთელობისა

პურის ჭამაზე უარის თქმა ჯანმრთელობისთვის შესაძლოა, სახიფათო გამოდგეს.

ათი წლის მანძილზე მოხალისეებზე დაკვირვების შემდეგ მედიკოსებმა განაცხადეს, რომ იმ მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ვინც ნახშირწყლებს პურპროდუქტებიდან იღებდა, გაცილებით უკეთესია, ვიდრე იმათი, ვინც პურის ჭამაზე უარს ამბობდა.

პურის სარგებელს, უწინარესად, მასში უჯროვანას, რკინისა და კალიუმის შემცველობა განაპირობებს.

მწვანე ჩაი კიბოს ებრძვის

სინგაპურელმა მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ მწვანე ჩაი კიბოს საწინააღმდეგო წამლების ეფექტიანობას ამაღლებს.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჩაიდან ორგანიზმის მიერ ამოღებული ქიმიური შენაერთები ცილების გადამტანის როლს ასრულებენ, რომლებიც სიმსივნეებს ებრძვიან.

გარდა ამისა, მწვანე ჩაის კატექინები ხელს უწყობენ წამლის დანიშნულების ადგილამდე გადატანას.

დათბობა თუ აცივება?

ბევრს არ უნდა იმის დაჯერება, მაგრამ ფაქტია, რომ დედამიწაზე ატმოსფეროს საყოველთაო დათბობის შესახებ თეორია, რომელიც მხოლოდ ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობას უკავშირდება, საკმაოდ დიდ ეჭვს იწვევს.

საქმე ის არის, რომ კლიმატის გლობალური დათბობა შენელდა, ანდა სულაც გაჩერდა 15 წელზე მეტი ხნის წინათ, ამდენად იმის ფიქრის საფუძველი, რომ ის მხოლოდ ანტროპოგენურ მოქმედებას უკავშირდებოდა, აღარ არის. მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ფაქტორის ზეგავლენა საერთოდაც 25 პროცენტს არ აღემატებოდა, კლიმატის დანარჩენი ცვლილებები კი ბუნებრივ მერყეობებზე იყო დამოკიდებული.

დათბობის პროცესში კი პაუზა იმის გამო წარმოიშვა, რომ კლიმატურ სისტემაში არსებობს დაახლოებით 60-წლიანი ციკლი, რომელშიც დათბობა-გაცივების პერიოდები მონაცვლეობენ. 1970-იან წლებში დაწყებული დათბობის ფაზა, როგორც ჩანს, ამჟამად დასრულდა. რეტროსპექციას თუ მივყვებით, დავრწმუნდებით, რომ ტემპერატურის ახლანდელი მატების მსგავსი პერიოდები ადრეც ყოფილა, თუმცა იმ დროს კაცობრიობას კლიმატზე ზემოქმედება არ შეეძლო.

ამდენად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალი ათწლეული გარდამავალი იქნება, ამჟამად კი დედამიწაზე კლიმატი ახალ დონეზე ყალიბდება.

მუსიკის ჰანგების საამური ხმები

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოცარტისა და შტრაუსის მუსიკა არტერიულ წნევას ქვევით სწევს.

აღმოჩნდა, რომ ამ კომპოზიტორების მუსიკის 25 წუთის მანძილზე მოსმენა ხელს უწყობს წნევისა და სტრესის ჰორმონის შემცველობის სისხლში დაწევას.

გარდა ამისა, მოცარტის მუსიკა ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას.

ქურდსაწინააღმდეგო... ჩემოდანი

სლოვაკმა ყოფილმა სკოლის მასწავლებელმა სტეფან ვამოსმა ჩემოდანი გამოიგონა, რომელიც... საკუთარ თავს ქურდებისგან თავად იცავს.

ეს ჩემოდანი ელექტრონული ხაფანგებითაა გატენილი. სისტემა საგანგებო კოდით აქტიურდება: როცა ჩემოდნის სახელურს უცხო კაცი ეხება, 240 დეციბელის სირენა ირთვება, გამტაცებელს კი მისთვის ხელის გაშვება აღარ შეუძლია. მის გამოსართველად საჭიროა კოდის აკრეფა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება აფეთქება... მას, ცხადია, ქურდის დასახიჩრება არ შეუძლია, სამაგიეროდ, ისეთ ფხვნილს აყრის, რომლის ჩამორეცხვა წყლით შეუძლებელია. ამიტომაც, ქურდმა მიმალვაც რომ შეძლოს, პოლიცია მას მაინც მიაგნებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7303; ევრო - 2.8649;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3574;
100 რუბლი - 4.5443; თურქული ლირა - 0.7549;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5136;
1000 სომხური დრამი - 5.6409.

ამინდი 7 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-5	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე	-8	დღე +7
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+5	დღე +19
მთიანი რაიონები -	ღამე	-3	დღე +12
თბილისი:	ღამე	-1	დღე +12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE